# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№15 (10018) 2026 წლის 6 თებერვალი, პარასკევი


# ალბათ, ხელისუფლებასთან შეთანხმებულია!

აშშ-ის საჰაერო ძალების სამხედრო თვითმფრინავები თბილისში გამოჩნდნენ

იხ. 4 გვ.





## საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ ყაველაშვილი ოლიმპიადას ესწრება!

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი, მეუღლესთან, თამარ ბაგრატიონსა და თანმხლებ დელეგაციასთან ერთად, სამუშაო ვიზიტით მილანში იმყოფება, სადაც ზამთრის XXV ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიას დაესწრება.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, მილანის ლინატეს საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი ზამთრის XXV ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას შეხვდება და ფიგურული ციგურაობის გუნდურ შეჯიბრებაზე საქართველოს წარმომადგენლებს უგულშემატკივრებს.

# ევროპა საფრთხედ გვექცა!

„ერთიანი ნეიტრალური საქართველო“:

ვიდრე თავს არ დავაღწევთ ევროინტეგრაციის ილუზიას, დამშვიდება არ უწერია ქვეყანას!

იხ. 2 გვ.






5

## ნანა ხაზარაძე – სამშობლოს მსახურებით გამორჩეული ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე



## თსუ-ის სენატი: ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაერთიანების ინიციატივა არ არის დასაბუთებული და მიზანშეწონილი...

დავით გურგენიძე:

## განათლების მინისტრთან მაქვს ყოველდღიური კონტაქტი!

3



სამედიცინო და ბიოლოგიური მეცნიერებანი

## კიბოსთან ბრძოლა

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

6

## ქართული ბალეტი დღეს ზენიტშია!



12

# ევროპა საფრთხეში გვექცა!

„ერთიანი ნეიტრალური საქართველო“:

## ვიდრე თავს არ დავაღწევთ ევროინტეგრაციის ილუზიას, დამშვიდება არ უწერია ქვეყანას!

### მზად ვართ, დებატებში დავამტკიცოთ დღევანდელი საგარეო პოლიტიკის მავნებლობა




საქართველოსთვის უკვე საფრთხედ ქცეულ ევროინტეგრაციის ილუზიას ვიდრე თავს არ დავაღწევთ, ქვეყანას დამშვიდება არ უწერია. მზად ვართ, ხელისუფლებასთან პირისპირ დებატებში არგუმენტირებულად დავამტკიცოთ დღევანდელი საგარეო პოლიტიკის უკიდურესი მავნებლობა ჩვენი ქვეყნის მიმართ, – ამის შესახებ ნათქვამია „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მოუწოდებენ ტელეკომპანია „იმედს“ და „რუსთავი 2“-ს, უმოკლეს ვადაში გაუწიონ ორგანიზება დებატებს საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით.

„ბოლო დროს საზოგადოებაში სულ უფრო აქტუალური ხდება შეკითხვა, არის კი მართებული და ეროვნულ ინტერესებთან, მათ შორის ქვეყნის უსაფრთხოების პრინციპებთან თავსებადი ის საგარეო კურსი, რომელიც ხელისუფლებას აქვს არჩეული და, ჩვენდა საუბედუროდ, კონსტიტუციური ჩანაწერით გამყარებული? დღეს უკვე ქართული საზოგადოება, რომელმაც ბოლო წლებში არაერთ ქარტეხილს გაუძლო, დაბრძენდა და შედგა, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების ჭეშმარიტი მფლობელი, ღიად სვამს შეკითხვას, უზრუნველყოფს თუ არა ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას ის გზა, რომელსაც ევროინტეგრაცია ჰქვია და ახალ მსოფლიო რეალობაში რამდენად შეესაბამება საქართველოს სუვერენულ ინტერესებს დეგრადაციის ბოლო ფაზაში მყოფი ევროკავშირისკენ სვლა?

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საზოგადოებიდან წამოსული ეს შეკითხვა მეტადრე რიტორიკულია, რამეთუ ჩვენმა ხალხმა კარგად გააანალიზა, რომ დღევანდელი ევროპა — ეს არის აბსოლუტურად საპირისპირო, ანტიპოდური ცნება და ფიზიკური მოცემულობა იმ სივრცისა, საითაც ჩვენ ვისწრაფვოდით. საზოგადოებამ ეს გაიაზრა და ვერავინ გაექცევა იმ ფაქტს, რომ დეგრადირებულ კავშირში საქართველოს ევროინტეგრაციაზე საგნობრივი და შინაარსიანი დისკუსია უნდა გაიხსნას.

დღევანდელი ევროპის მიმართ ჩვენ, ქართველ ხალხს, სასაყვედურო ბევრი გვაქვს, თუმცა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის იურიდიული კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულმა ანგარიშმა იმის შესახებ, როგორ ერევა ევროკომისია რეგულარულად წევრი ქვეყნების ეროვნულ არჩევნებში, კიდევ ერთხელ შეგვახსენა ევრობიუროკრატიის ვერაგი და უსამართლო სახე. ამ წერილში დეტალურად აღარ ჩამოვთვლით იმ ფაქტებს, რამდენი დაუშავა არაფორმალური ოლიგარქიული ოჯახების, იმავე „დიფ სთეითის“ მიერ მართულმა ევროკავშირმა საქართველოს. საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს თითოეული ქმედება – დაწყებული რევოლუციების დაფინანსებიდან, დამთავრებული უსამართლო სანქციებითა და გამუდმებული მუქარით ვიზალიბერალიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. მხოლოდ გასული ოთხი წლის განმავლობაში, რუსეთ-უკრაინის პროვოცირებული და კარგად ორგანიზებული ომის დაწყების შემდეგ, იმდენად დიდი იყო „დიფ სთეითის“ სურვილი საქართველოს ომში ჩათრევის, ხოლო ამ სურვილის რეალიზებაში იმდენად აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირი თავისი ბიუროკრატიული მექანიზმით, რომ ომამდე საქართველოში ქვეყნის ევროინტეგრაციაზე კითხვის დასმაც კი ცუდ ტონად თუ მიიჩნეოდა, დღეს აგენტურით მართული ევროპისკენ სვლა ქართველი ხალხისთვის სულ უფრო მიუღებელი ხდება.

ცხადია, ამ ფონზე სერიოზული კითხვები გვაქვს საქართველოს ხელისუფლებასთან: როდემდე აპირებს საზოგადოებრივი აზრის იგნორირებას და ქვეყნისთვის დამაზიანებელი ევროინტეგრაციის პროცესის გაგრძელებას, რომელიც ისედაც ხელოვნურ სუნთქვაზეა მიერთებული?

ვარწმუნებთ „ქართულ ოცნებას“, რომ ამ საკითხის მიჩქმალვას დიდხანს ვეღარ მოახერხებს, რამეთუ ხალხის ნებაა, გადაფასდეს და გადაიხედოს სრულად მოწურ მორჩილებაში, ეკონომიკურ, სულიერ და ზნეობრივ ჭაობში მყოფი ევროკავშირისკენ სწრაფვა. ბოლოს კი მივმართავთ ტელეკომპანია „იმედს“ და „რუსთავი 2“-ს, რომელთაც, პირველ რიგში, მადლობას ვუხდით თავიანთ არხებზე დებატების სივრცის გახსნისთვის და მოვუწოდებთ ორივე მაუწყებელს – უმოკლეს ვადაში გაუწიონ ორგანიზება დებატებს საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით.

ამჟამად არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ქვეყანაში და ვიდრე თავს არ დავაღწევთ საქართველოსთვის უკვე საფრთხედ ქცეულ ევროინტეგრაციის ილუზიას, ქვეყანას დამშვიდება არ უწერია. მზად ვართ, ხელისუფლებასთან პირისპირ დებატებში არგუმენტირებულად დავამტკიცოთ დღევანდელი საგარეო პოლიტიკის უკიდურესი მავნებლობა ჩვენი ქვეყნის მიმართ“!

## შეხვედრა თამარ ტალიაშვილთან

აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თამარ ტალიაშვილმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს – დაგეგმარების პოლიტიკის უფროს მრჩეველს ჯონათან ასკონასსა და სპეციალურ თანაშემწეს ჩარლზ იოკის საქართველოს საელჩოში უმასპინძლა.

ქართულმა მხარემ კვლავ გამოხატა აშშ-სთან ურთიერთობის გადატვირთვის მზაობა და ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის განახლების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

**შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების აქტუალური საკითხები. აღინიშნა საქართველოს, როგორც რეგიონული დამაკავშირებლის როლი და განხილულ იქნა შუა დერეფნის სატრანსპორტო პოტენციალი. საუბარი შეეხო საერთაშორისო დონეზე მიმდინარე და განვითარებულ პროცესებს და ხაზი გაესვა რეგიონში მშვიდობის და სტაბილური განვითარების მნიშვნელობას.**

ამერიკულმა მხარემ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერა.

## ლაშა დარსალია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში

აშშ-სთან ურთიერთობის გადატვირთვის მზაობაზე და სტრატეგიული პარტნიორობის განახლების მნიშვნელობაზე ისაუბრა ქართულმა დელეგაციამ ვაშინგტონში. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს შეხვდა.

შეხვედრას ესწრებოდა შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **თამარ ტალიაშვილი** და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე, **სონატა კოლტერი.** შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს რეგიონში მიმდინარე პროცესებსა და საქართველოსთან თანამშრომლობის პერსპექტივებზე. ამერიკულმა მხარემ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ უპირობო მხარდაჭერა დაადასტურა. **ჩვენი ოპოზიცია სკეპტიკურად არის განწყობილი და ამბობს, რომ ამ ვიზიტით არსებული რეალობა არ შეიცვლება. განსხვავებულად ფიქრობენ მმართველ გუნდში, სადაც აღნიშნულ შეხვედრას წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ.**



საქართველოს რესპუბლიკა



### თსუ-ის სენატი:

## ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაერთიანების ინიციატივა არ არის დასაბუთებული და მიზანშეწონილი, ორი უნივერსიტეტის გაერთიანების პროცესი ამ ფორმით უნდა შეწყდეს და გაგრძელდეს მხარეებთან აქტიური კომუნიკაცია

**მიგვაჩნია, უმაღლესი განათლების რეფორმა მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის, თუმცა ცალკეული და უგეგმავი ინიციატივით გამოწვეული ვნებათაღელვა და მიმდინარე პროცესები ნათლად ასახავს საკითხის მნიშვნელობას, მის სენსიტიურობას და გამჭვირვალობის აუცილებლობას,** – ამის შესახებ აღნიშნულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 4 თებერვლის ოქმში.

**„სამწუხაროდ, დღემდე არცერთ ინსტიტუციას არ მიუღია კონკრეტული კვლევის შედეგები ან ნებისმიერი სხვა სახის დასაბუთება ამ ორი უნივერსიტეტის გაერთიანებით განათლების (კვლევის) ხარისხის ამაღლების ან სხვა შესაძლო პოზიტიური გავლენის შესახებ.**

**სენატი განსაკუთრებით ხაზს უსვამს უნივერსიტეტების ავტონომიის პრინციპს, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემის ფუნდამენტურ საფუძველს. მათ შორის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ავტონომია უზრუნველყოფს უნივერსიტეტების დამოუკიდებლობას მმართველობის პროცესებში. გაერთიანების საკითხი, გამჭვირვალობის, შესაბამისი აკადემიური თანამონაწილეობის, შიდაკონსულტაციებისა და უნივერსიტეტების მართვის ორგანოების რეალური ჩართულობის გარეშე, ქმნის რისკს ავტონომიის შეზღუდვის და ეწინააღმდეგება ევროპულ უმაღლესი განათლების სივრცეში დამკვიდრებულ მმართველობით სტანდარტებს.**

**გარდა ამისა, სენატი მიიჩნევს, რომ მსგავს მასშტაბურ ინსტიტუციურ რეორგანიზაციას თან ახლავს ადმინისტრაციული და აკადემიური რისკები, როგორიცაა: მართვის სისტემების არათავსებადობა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სტატუსის გაურკვევლობა, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებისა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების მართვის სისტემების შეუთავსებლობა და ორგანიზაციული არასტაბილურობა.**

**გაერთიანება გამოიწვევს მმართველობით სირთულეებს საკმაოდ გრძელვადიან პერიოდში, რაც პირდაპირ გავლენას მოახდენს განათლების ხარისხზე. გარდა ამისა, ორი უნივერსიტეტის გაერთიანება გარდაუვლად გამოიწვევს, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ადგილების შემცირებას.**

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) მიიჩნევს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების ინიციატივა არ არის დასაბუთებული და ამდენად, მიზანშეწონილი.**

**სენატი მოითხოვს, პროცესის აკადემიურ სივრცეში დაბრუნებას, დიალოგს, უნივერსიტეტის წარმომადგენელთა ჩართულობას საკითხის შესწავლისას და ავტონომიურობის პრინციპის პატივისცემით გადაწყვეტილების მიღებას. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ორი უნივერსიტეტის გაერთიანების პროცესი ამ ფორმით უნდა შეწყდეს და გაგრძელდეს მხარეებთან აქტიური კომუნიკაცია“.**

### დავით გურგენიძე:

## განათლების მინისტრთან მაქვს ყოველდღიური კონტაქტი!



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის **დავით გურგენიძის** განცხადებით, შეხვედრაზე, რომელიც დაგეგმილია, განათლების მინისტრი მოისმენს როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების აზრს განათლების რეფორმასთან დაკავშირებით.

**„მინისტრთან მაქვს ყოველდღიური კონტაქტი, ის ელოდება აკადემიური წრეებიდან შენიშვნებს, აზრებს, კონცეფციაზე საუბარს. შემდეგ ყველა ერთად მივიღებთ გადაწყვეტილებას. მინისტრის მოადგილემ ზვიად გაბისონიამ ჩვენს აკადემიური წრეს, პროფესორებს, მასწავლებლებს სამი ვარიანტი შესთავაზა განსახილველად. ვთქვი, რომ იყო ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა. როგორც ვიცი, ჩვენს კოლეგებს აქვთ თავიანთი მოსაზრებები. მინისტრთან მე ვისაუბრე, განიხილავს და შემდეგ შევჯერდებით. შეხვედრა გაიმართება, რათა მინისტრმა მოისმინოს, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აზრი, შემდეგ შეჯერდეს და მოახსენოს პრემიერ-მინისტრს“.**

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომ ტექნიკურ მიმართულებებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, დავით გურგენიძის თქმით, ნამდვილად უნდა გაძლიერდეს ტექნიკური, ტექნოლოგიური განათლება საქართველოში.

**„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს ძალიან დიდი ტრადიციები, აწმყო და ვფიქრობ, კიდევ უფრო კარგი მომავალი ექნება. ქვეყანა აღმავლობის გზაზეა და რაც მეტი ინჟინერი და ტექნოლოგი გვეყოლება, ძალიან კარგი იქნება. უკეთესი გვინდა, ყველა რეფორმა საჭიროა იმისთვის, რომ არათუ 2 250 ლარი იყოს გრანტი, არამედ მეტი ინვესტიცია იყოს და კიდევ უფრო ძლიერი იყოს, ბევრი ინჟინერი გამოვუშვათ, ნიკო ნიკოლაძის ოცნებაც ეს იყო. მე ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩეული რექტორი, მოვისმენ ყველა მოსაზრებას და საბოლოოდ მოგახსენებთ ჩემს გადაწყვეტილებას“,** – განაცხადა **დავით გურგენიძემ.**

როგორც ცნობილია, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრთან, გივი მიქანაძესთან დღეს, 6 თებერვალს გაიმართება სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. შეხვედრის ფარგლებში თსუ-ს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების თაობაზე დამატებითი კონსულტაციები შედგება.

# 8 თებერვალი წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა!

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 8 თებერვალს, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 108 წლის ხდება



მინდა ყველას შეგახსენოთ ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვები უნივერსიტეტის შესახებ:

**„საქართველოს მეცნიერების ტაძარი და მისი მსახურნი, ქართული მეცნიერების მსახურთა და ქურუმთა უზრუნველყოფა – შეუვალობა და იმუნიტეტი უნდა აღემატებოდეს კანონმდებელთა და ერის მთავარმმართველთა მდგომარეობას.**

**საქართველოს უნივერსიტეტი, რა თქმა უნდა, ქართული უნდა იქნეს. მაგრამ ამავე დროს ის უნდა შეიქნას აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე იმ იშვიათ და ცნობილ კულტურის კერათ, სადაც ევროპისა და აზიის კულტურა და მეცნიერება ერთიმეორეს გადაენასკვება, სადაც აზია თავის წარსულს და აწმყოს ევროპას გააცნობს, ხოლო ევროპა აზიას მომავალ გზებს ასწავლის.**

**ქართულ უნივერსიტეტს უნდა ექნეს არა მარტო საქართველოს წონახვედრი, არამედ ერთგვარადი მსოფლიო მნიშვნელობა“.**

უნივერსიტეტის ღვთიური ზოგადსაკაცობრიო მისია შთამბეჭდავად არის აღბეჭდილი დიმიტრი შევარდნაძის მიერ შექმნილ უნივერსიტეტის ემბლემაში.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებელს ხელთ უპყრია როგორც ხელიხელსაგოგმანები განძი და თვალშეუდგამი სიბრძნის სალარო გელათის აკადემიის მოდელი, რომლის პირდაპირი მემკვიდრე არის უნივერსიტეტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

...რა კარგი იქნებოდა, იმ სივრცეში, სადაც დგას უკრაინელი მწერლის ტარას შევჩენკოს ძეგლი, დაიდგას დავით აღმაშენებლის ფრესკის მონუმენტი, სადაც მას სიბრძნის ტექსტი უპყრია ხელთ, ხოლო მეორე გაწვდილ ხელისგულზე გელათის აკადემია, ვითარცა რწმენის, აღმშენებლობის ერთიანობის სიმბოლო.

ასევე, პრინციპული მნიშვნელობის გახლავთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, იქ, სადაც განთავსებული იყო რუსთაველის ბარელიეფი, დაუბრუნდეს კუთვნილ ადგილს!

**შეგახსენებთ ყველას, რუსთაველის ფრესკა ბატონი გია ხუბუას რექტორობის პერიოდში ჩამოხსნეს. მე არაერთხელ დავსვი ეს საკითხი უნივერსიტეტში, მაგრამ შედეგს დღემდე ვერ მივაღწიე.**

**საქართველოში არავის აქვს უფლება, შეეხოს და მით უფრო ხელყოს რუსთაველი!**

**თამარ დოლიძე**

## ირაკლი კობახიძე:

# თავის დროზე, ბოლშევიკური ხაზით დანიშნულმა რექტორებმა ჩაანაცვლეს ივანე ჯავახიშვილი... გვინდა, თსუ-ს აღვუდგინოთ ის მდგომარეობა, როგორიც შეიქმნა ჯავახიშვილის მიერ



**ჩვენ გვინდა, აღვუდგინოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ის მდგომარეობა, როგორც შეიქმნა თავის დროზე ეს უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის მიერ,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ქართველ ჟურნალისტებს დუბაიში განუცხადა.

მისივე თქმით, ტექნიკური მიმართულება საკუთარ უნივერსიტეტში იქცა გერად და ეს უნდა შეიცვალოს.

**„მარტივად შეგვიძლია, ავიღოთ სტატისტიკა, რა არის ტრადიციული ტექნიკური დარგები, დისციპლინები, რომლებიც თავის დროზე იყო წარმოდგენილი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მარტივად შეგიძლიათ ნახოთ, რომ 43% არის ტექნიკური მიმართულება, 57% – სამართალი, ეკონომიკა, აგრარული და სხვა დისციპლინები, რომელთაც არანაირი შემხებლობა არ აქვს იმ დისციპლინებთან, რომლებიც თავის დროზე ისწავლებოდა საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში.**

**ეს არის მარტივი სტატისტიკა. დღეს უკვე ტექნიკური მიმართულება საკუთარ ინსტიტუტში, საკუთარ უნივერსიტეტში იქცა გერად. ეს უნდა შეიცვალოს. თავის დროზე როგორც შეიქმნა ეს მიმართულება, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასე ვთქვათ, ერთგვარი შვილი. შეიქმნა, როგორც ერთ-ერთი ფაკულტეტი. ეს მდგომარეობა უნდა აღდგეს. როგორც ჩაიფიქრა ეს ყველაფერი ივანე ჯავახიშვილმა, ისე უნდა აღდგეს. თავის დროზე არ დასცალდა მას უნივერსიტეტის განვითარებაზე ზრუნვა, იცით, რომ ბოლშევიკური ხაზით დანიშნულმა რექტორებმა ჩაანაცვლეს ივანე ჯავახიშვილი რექტორის პოზიციაზე და ამის შემდეგ აირია ყველაფერი. ჩვენ გვინდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აღვუდგინოთ ის მდგომარეობა, რა მდგომარეობითაც შეიქმნა ეს უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის მიერ“,** – განაცხადა პრემიერმა.

## ყველამ უნდა სცეს პატივი კონსტიტუციურ წესრიგს!

**ყველამ პატივი უნდა სცეს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ წესრიგს, ვინმე ამას თუ არ აკეთებს, უნდა არსებობდეს საკანონმდებლო მექანიზმებიც, რომლებიც საბოლოო ჯამში ამას უზრუნველყოფს,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს დუბაიში განუცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოში მოქმედებს კონსტიტუციური წესრიგი.

**„მე მახსენდება გერმანული საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი პრეცედენტი, გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც აიკრძალა, არა როგორც ასეთი პოლიტიკური პარტია, არამედ პარტიასთან მიმსგავსებული წარმონაქმნი, სწორედ იმისათვის, ერთ-ერთ მთავარ მიზეზად გამოტანილი იყო ის, რომ არ აღიარებდა გერმანიაში ჩამოყალიბებულ კონსტიტუციურ წესრიგს. შესაბამისად, ეს არის აბსოლუტურად ლოგიკური პრაქტიკა. ამაზე მეტყველებს საერთაშორისო გამოცდილებაც. ჩვენ შემთხვევაშიც ძალიან მნიშვნელოვანია, სათანადო პრინციპები იყოს დაცული. საქართველოში მოქმედებს კონსტიტუციური წესრიგი, ყველამ პატივი უნდა სცეს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ წესრიგს და ვინმე ამას თუ არ აკეთებს, რა თქმა უნდა, უნდა არსებობდეს საკანონმდებლო მექანიზმებიც, რომლებიც საბოლოო ჯამში ამას უზრუნველყოფს“...**

## დუბაის სამიტი არის ძალიან მნიშვნელოვანი ფორმატი

**დუბაის სამიტი არის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ფორმატი, სადაც გვაქვს საშუალება, მივმართოთ ფართო აუდიტორიას, აქ არიან შეკრებილები პოლიტიკური ლიდერები სხვადასხვა ქვეყნებიდან, ასევე ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და პოტენციური ინვესტორები,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ქართველ ჟურნალისტებს დუბაიში განუცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნულ ფორმატს საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად იყენებს, მათ შორის, ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გასაღრმავებლად.

**„ამ ფორმატს ვიყენებთ მაქსიმალურად აქტიურად, მათ შორის იმისთვის, რომ ორმხრივი ურთიერთობები კიდევ უფრო მეტად გავაღრმაოთ. აქ ჰქონდათ, მათ შორის, მინისტრებს იმის საშუალება, რომ გასაუბრებოდნენ კოლეგებს, ასევე პოტენციურ ინვესტორებს სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით, ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. პირადად მე მქონდა საშუალება, გამოვსულიყავი როგორც პლენარულ ფორმატში, ასევე მრგვალი მაგიდის ფორმატში და მესაუბრა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ჩვენს ეკონომიკურ წინსვლასა და პოტენციალზე“...**

# აშშ-ის საჰაერო ძალების სამხედრო თვითმფრინავები თბილისში გამოჩნდნენ

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, აშშ-ის საჰაერო ძალების სამხედრო თვითმფრინავები – C-130ჟ-30 ტიპის თვითმფრინავი 2 თებერვალს ჩამოფრინდა, MC-130J – 30 იანვარს დაჯდა. აშშ-ის საელჩოში აცხადებენ, რომ თვითმფრინავების ასეთი გადაადგილება აშშ-ის სამხედრო სატრანსპორტო ოპერაციების ნორმალური ნაწილია და რეგულარულად ხორციელდება პარტნიორებთან კოორდინაციით. ეს არ არის დაკავშირებული რეგიონულ დაძაბულობასთან.**




**30 იანვარს, 22:41 წუთზე, თბილისში, ბუქარესტის საერთაშორისო აეროპორტიდან მომავალი, აშშ-ის საჰაერო ძალების MC-130J ტიპის სამხედრო-სატვირთო თვითმფრინავი დაფრინდა. 2 თებერვალს, 22:54 წუთზე, თბილისის აეროპორტში C-130J-30 დაეშვა – ის რამშტაინის სამხედრო ბაზიდან გამოფრინდა. თბილისში ჩამოსული ორივე ამერიკული სამხედრო ხომალდი ტვირთის გადამზიდის ფუნქციის მატარებელია. FlightRadar24-ის მონაცემებით, ორივე თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში ორ საათზე ნაკლები დროის განმავლობაში იყო გაჩერებული.**

MC-130J ტიპის სამხედრო თვითმფრინავი, რომელიც 30 იანვარს დაჯდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, გამოფრენამდე, გაერთიანებული სამეფოს ქალაქ მილდენჰოლში მდებარე ბრიტანულ-ამერიკული სამხედრო ავიაბაზიდან აფრინდა და გერმანიის ქალაქ რამშტაინში, აშშ-ის ავიაბაზაზე საათნახევრიანი შეჩერების შემდეგ, ბუქარესტში ჩაფრინდა.

თბილისის შემდეგ სად წავიდა, არ ჩანს, მაგრამ 31 იანვარს, შტუტგარტის აეროპორტში განახორციელა ფრენა. იგივე FlightRadar24-ზე არ ჩანს, თბილისის დატოვების შემდეგ, რა მიმართულებით გაფრინდა C-130J ტიპის სუპერ ჰერკულესი, რომელიც თბილისში 2 თებერვლის ღამეს ჩამოვიდა რამშტაინის სამხედრო ბაზიდან.

რა მიზნით დაეშვა ზედიზედ ორჯერ ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი თბილისში, ამასთან დაკავშირებით დამატებითი ცნობები არ არსებობს. ექსპერტის **დავით კუხალაშვილის** განცხადებით, ამ შემთხვევაში, უნდა დავეყრდნოთ ღია წყაროებში არსებულ ინფორმაციებს. განსაკუთრებული სრულყოფილებით ინფორმაციული ნაკადი ფიქსირდება „რადიო თავისუფლებაში“, რომლის თანახმადაც, თბილისის აეროპორტში, სამი დღის შუალედში, აშშ-ის სამხედრო ხომალდების ჩამოფრენას ჰქონდა ადგილი.



**„პირველ რიგში, თქვენს შეკითხვაზე, ხომ არ უკავშირდება აღნიშნული ფრენები აშშ-სა და ირანს შორის დაკავშირებულ დაძაბულობას, პირდაპირი პასუხი არ შეიძლება მქონდეს. თბილისში აშშ-ის საელჩოს პოზიციით: „თვითმფრინავების ასეთი გადაადგილება აშშ-ის სამხედრო სატრანსპორტო ოპერაციების ნორმალური ნაწილია და რეგულარულად ხორციელდება პარტნიორებთან კოორდინაციით“, რაც იმას ნიშნავს, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით, იგი საიდუმლოების გრიფით უნდა იყოს აღჭურვილი. ზოგადად, ამ ტიპის ინფორმაციის ღია წყაროში გამომზეურებას შესაძლოა ჰქონდეს სამიზნე სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის დაძაბულობის ინსპირირების ან გაღრმავების საფუძველი. განსაკუთრებით თვალში საცემია აშშ-ის საელჩოს პოზიცია.**

**საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ალბათ, უკეთესი იქნებოდა ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა. თანამედროვე ეტაპზე, ნებისმიერი ტიპის კონფლიქტში პირდაპირი ან ირიბი მონაწილეობა ყოველთვის ჩვენი ტიპის და ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის შეიცავს უდიდეს საფრთხეს, თუ არ არსებობს მყარი საერთაშორისო გარანტიები“,** – აცხადებს **დავით კუხალაშვილი.**

## თამარ კიკნაძე:

# ალბათ, ხელისუფლებასთან შეთანხმებულია!



პოლიტოლოგი **თამარ კიკნაძე** არ მიეკუთვნება იმ ექსპერტების რიცხვს, რომლებიც ფიქრობენ, რომ აშშ-სა და ირანს შორის დაიწყება ფართომასშტაბიანი ომი. მისი თქმით, ომი არ აწყობთ ამერიკელებს და ასევე, რეგიონის ქვეყნებს, მათ შორის, საუდის არაბეთი კატეგორიულად წინააღმდეგია.

**„მით უმეტეს, რომ ეს ჩვენი რეგიონია და იქ მიმდინარე პროცესები აისახება ჩვენზე. ამიტომ, არ ვიცი, რა მიზნით ჩამოფრინდა ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი. თუ ოფიციალურად ჩამოფრინდა, ალბათ, ხელისუფლებასთან შეთანხმებულია ეს ყველაფერი.**

**აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ხელისუფლებამ რადგან დაუშვა, ე.ი. იცის, რა თვითმფრინავია. საქართველო, როგორც ტრანზიტი, ისე გამოიყენეს თუ არა, არის ბევრი ნიუანსები, რაზეც რთულია ამ ეტაპზე საუბარი. რაც შეეხება ირანის ფაქტორს, ირანი არის რეგიონის ქვეყანა და შეიძლება რაღაც წინასწარი მოლაპარაკება არის ამის შესახებ. თუ ხელისუფლება უპასუხებს ამ კითხვებს, იქნება ძალიან კარგი“,** – აცხადებს **თამარ კიკნაძე.**

**თამთა ქარჩავა**

ყოველმა ჩვენგანმა შესანიშნავად იცის, რომ ამქვეყნიური სიცოცხლე უსასრულო არაა. ადრე თუ გვიან იგი შეწყდება. მიუხედავად ამისა, ყოველ ჩვენგანს ერთხელ მაინც უოცნებია, რომ მისი ამქვეყნიური სიცოცხლე წასვლის შემდეგაც გაგრძელდეს. ამ ოცნების აღსრულებისთვის სხვადასხვა გზა არსებობს. ერთ-ერთს, ვფიქრობ, ყველაზე სანდოს, ჩვენ იმ მოწაფეებთან მივყავართ, რომლებიც დარწმუნებული ვართ, ჩვენს საქმეს, მთელი ცხოვრება რომ სიყვარულით და ერთგულებით ვემსახურებოდით, ღირსეულად გააგრძელებენ.

ნანა ხაზარაძე



# სამშობლოს მსახურებით გამორჩეული ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე

**ასე, სიყვარულითა და ერთგულებით ემსახურა, თავის სამშობლოს ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე, რომელსაც ამ დღეებში 95 წელი შეუსრულდებოდა.**

**ნანა ხაზარაძე** 1931 წლის 4 თებერვალს თბილისში, ცნობილი ექიმის ოჯახში დაიბადა.

ნანა ხაზარაძემ თბილისის ქალთა მე-6 საშუალი სკოლა 1949 წელს ოქროს მედლით დაამთავრა. სკოლის მოსწავლე უკვე წერდა ზღაპრებს, ლექსებს, ქართულად თარგმნიდა რუსული და ინგლისური პოეზიის ნიმუშებს. სწავლა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ჯგუფში განაგრძო, ხოლო 1952 წელს – მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ძველი ისტორიის განხრით, რომელიც 1955 წელს წარჩინების დიპლომით დაამთავრა. აქ შეისწავლა აქადური, ურარტული, ძველბერძნული და ლათინური ენები. მისმა სადიპლომო ნაშრომმა „ურარტუს საგარეო პოლიტიკა ძვ. წ. VIII საუკუნეში", უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და გამოქვეყნების რეკომენდაცია მიიღო.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ნ. ხაზარაძემ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აკადემიკოს გ. მელიქიშვილის მიერ დაარსებულ ძველი ისტორიის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. 1957 წლიდან 2006 წლამდე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ლაბორანტი, უმცროსი, უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერ – თანამშრომელი, ძველი ისტორიის განყოფილების გამგე. 1990-2005 წლებში ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის ეთნოგენეზისისა და ეთნიკური განვითარების კომპლექსური შესწავლის საპრობლემო ჯგუფს.

ნ. ხაზარაძემ 1973 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში", ხოლო 1985 წელს სადოქტორო – „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები)". სწორედ ამ ნაშრომში მას 1985 წ. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მიენიჭა.

ნ. ხაზარაძის კვლევა-ძიებათა არეალი ურთულესი პრობლემატიკის შემცველია. ეს გახლავთ ძველი კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ეთნოსების გენეზისის, ამავე რეგიონის ისტორიული გეოგრაფიის (ტოპონიმიკა, ორონიმიკა, ჰიდრონიმიკა), ძველაღმოსავლური დამწერლობებისა და ენის, ეკონომიკის და სოციალური ურთიერთობების, რწმენა-წარმოდგენების და კულტურის სხვადასხვა პრობლემატიკა, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური ტერმინები, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია, წმიდა ხის კულტი საქართველოში, ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები, გვიანხეთური ხანის სამეფო – სამთავროები, ბიბლია და ქართველი ხალხის განსახლების ისტორია, თაბალის ისტორია და სხვა საკითხები.

ნ. ხაზარაძემ, პირველმა საქართველოში, შეისწავლა იეროგლიფურ-ლუვიური ენა და დამწერლობა. ამით მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ წყაროებში დაცული უმდიდრესი მონაცემების საფუძველზე ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის შესაძლებლობანი. ნ. ხაზარაძემ, პირველმა, ისტორიულ წყაროდ გამოიყენა თავად იეროგლიფი, განიხილა იგი, როგორც გარკვეული შინაარსის მატარებელი ნიშანი და მასში ჩადებული სემანტიკური კოდი გამოავლინა.

სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ნ. ხაზარაძე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. მისი თაოსნობით, 1990 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრა დაარსდა. კათედრასთანვე დაფუძნდა „ისტორიული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების საპრობლემო ლაბორატორია", რომელმაც „ქართლის ცხოვრების" I და II ტომის ელექტრონული ვერსიები, თანდართული საძიებლებით შექმნა. მოქმედებდა „ისტორიის მოყვარულთა კლუბი". კათედრასთან 1990-2008 წ.წ. ფუნქციონირებდა „სიძველეთა და ხელოვნების ნიმუშთა ტექნიკური ექსპერტიზის, საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების პროგრამები. 2015 წლიდან ნ. ხაზარაძე ხელმძღვანელობდა „არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტს". 2009 წლიდან აქტიურად კითხულობდა ლექციებს, ამზადებდა ბაკალავრებს, მაგისტრებს, დოქტორანტებს. იყო სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელი და ოპონენტი. გაზრდილი ჰყავს 30-ზე მეტი მეცნიერების დოქტორი, კანდიდატი, აკადემიური დოქტორი. წლების მანძილზე კითხულობდა შემდეგ სალექციო კურსებს: საქართველოს ისტორია, ქართული და უცხოური წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ, ძველი მსოფლიოს ისტორია (საბერძნეთი, რომი), ძველაღმოსავლური ეთნოსები და კავკასია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, გენდერი და კონფლიქტი, კონფლიქტოლოგია, კულტურათა ინტერაქცია.

ნ. ხაზარაძე არაერთი სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, მრავალი მონოგრაფიის, სამეცნიერო კრებულების რედაქტორი და რეცენზენტი იყო.

ნ. ხაზარაძე 200-მდე სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობდა, მათგან 50 საერთაშორისო (მოსკოვი, ლენინგრადი, ერევანი, ლონდონი, ლეიდენი, ლაიფციგი, პარიზი, რომი, ბოლონია, ვენა, ამსტერდამი, პრაღა, სტამბოლი, ტოკიო და სხვ.).

ნ. ხაზარაძე იყო 10-მდე პროექტის ავტორი და მონაწილე. ნ. ხაზარაძე იყო საქართველოს საისტორიო საზოგადოების წევრი, 1970 წ; საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, 1978; ასოციაცია „ჯავახეთის" წევრი, 1989; საერთაშორისო მეროისტიკული საზოგადოების საპატიო წევრი, 1992; ი. ჭავჭავაძის სახ. საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზაციის თავმჯდომარე, 1995; საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ფენიქსი XXI, ისტორია და თანამედროვეობა" დამფუძნებელი და წევრი, 1995; ე. თაყაიშვილის სახ. საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, 2006; ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი, 2006.

ნ. ხაზარაძეს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. მათ შორის: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის პრემია, 1985 წ.; ღირსების ორდენი, 1996 წ.; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს გ. მელიქიშვილის სახელობის პრემია, 2010 წ.; საქართველოს კულტურის ფონდის ე. თაყაიშვილის სახ. პრემია და ბრინჯაოს მედალიონი, 2010 წ.; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საპატიო სიგელი საზოგადოებისა და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, 2017 წ.; ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო სიგელი, 2018 წ.; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი 2018 წ.

ნ. ხაზარაძე იყო 300-მდე სხვადასხვაენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული) სამეცნიერო ნაშრომის, 15 წიგნის, უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი 6 სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. მათ შორის: **Tabal, Remakrs on the Ethnocultural Description of Eastern Asia Minor, Ethnopolitical Entities of the 9th-7th Centuries B. C., Budapest, 1974**; აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978 წ.; **Royal Power in Late Hittite Political Enitites, Berlin, 1982**; საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984 წ.; **К Вопросу О датировке лувийско-иероглифических надписей Хартапу, Даугапилс, 1985 г.; Очерки древней истории Месхов, Тбилиси, 1992 w.; Frauen und Ausbildung im Altgeorgien, Hamburg, 1995.**; ძველაღმოსავლურ-ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2001 წ.; **„Western Muski in Central Anatolia, Санкт-Петербург,** 2002; სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, თბილისი, 2005 წ.; ლუვიური იეროგლიფების სამყაროში, თბილისი, 2006 წ.; ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში, თბილისი, 2008 წ.; წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ძიებანი, თბილისი, 2010 წ.; კავკასიურ-ახლოაღმოსავლური სამყარო, თბილისი, 2013 წ.; საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 2014 წ.; ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდები, I, სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული), თბილისი, 2017 წ.; ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდები, II, (თანაავტორი), სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული), თბილისი, 2017 წ.; საისტორიო სამეცნიერო ძიებანი დამოუკიდებელ საქართველოში, 2018 წ. ამ უაღრესად სოლიდურმა შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ძველი ისტორიის კვლევაში.

**ნანა ხაზარაძემ, ფართოდ ერუდირებულმა, ჭეშმარიტად შემოქმედებითმა, ბრწყინვალე ორატორული ნიჭით დაჯილდოვებულმა მეცნიერმა, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართველოლოგიაში. იგი გამორჩეული ადამიანური თვისებების მქონე, გულთბილი, მართალი, სიკეთის და ქველმოქმედების მაძიებელი, ქვეყნის ერთგული მოქალაქე, ნამდვილი ინტელიგენტი ქალბატონი ბრძანდებოდა. მან ამ მშვენიერ და კურთხეულ მიწაზე, სამშობლოს სამსახურში თავისი კუთვნილი გზა ღირსეულად განვლო.**

**ნანა ხაზარაძე 2019 წლის 2 თებერვალს გარდაიცვალა. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**




## მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

### პერსონალიზებული მედიცინის სიახლენი

# კიბოსთან ბრძოლა

**„თანამედროვე პრობლემები და სიახლეები ონკოლოგიურ პათოლოგიაში“ — ავთვისებიან სიმსივნეთა წარმოშობის, განვითარების მექანიზმების, პრობლემებისადმი ახლებური მიდგომების, კვლევების მეთოდების განვითარებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვას მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს“ მორიგი სხდომა, რომელსაც აკადემიკოს-მდივანი რამაზ ხეცურიანი უძღვებოდა.**

აკადემიის ხელმძღვანელობის, საბჭოს წევრებისა და მიწვეულ სპეციალისტთა წინაშე მოხსენებებით წარდგნენ თავად საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი **რამაზ ხეცურიანი, „სიმსივნეების ეტიოპათოგენეზის ზოგიერთი თავისებურებები“**, აკადემიკოსი **დავით მიქელაძე – „ნეოპლასტიკური ტრანსფორმაციის მოლეკულური მექანიზმები“** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ექიმი-ონკოლოგი, სამედიცინო გენეტიკოსი **ალექსანდრე თავართქილაძე – „ონკოლოგიური პათოლოგიის იმუნური და ტარგეტული მკურნალობა“.**

შესავალ სიტყვაში, საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა რამაზ ხეცურიანმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ მეცნიერების სხვა დარგების დარად, 2025 წელი სამედიცინო მეცნიერებისთვისაც განსაკუთრებული გამოდგა: **დაავადებათა მკურნალობასა და პროფილაქტიკის მხრივ შემუშავდა მთელი რიგი ახალი მეთოდი, მათ შორის გაიზარდა სიმსივნეთა მკურნალობის ეფექტიანობა, განხორციელდა ახალშობილთა გენომის ანტენატალური რედაქტირება, შემუშავდა ბავშვთა ალერგიების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ინოვაციური საინგალაციო საშუალება, გაუმჯობესდა საშვილოსნოს ყელის კიბოს და ადამიანის იმუნოდეფიკაციის პროფილაქტიკა, უდიდესი მიღწევები აღინიშნა რეგენერაციულ მედიცინაში, წარმატებით დაინერგა მენოპაუზების არაჰორმონული რეგულაცია, შეიქმნა შიდსის პროფილაქტიკისთვის საჭირო პრეპარატი და სხვა.**

— მეტად მნიშვნელოვანია, რომ ასიათას მოხალისეს ჩაუტარდა მილიარდზე მეტი სამედიცინო სკანირება, მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია, ულტრაბგერითი გამოკვლევა და ყველაფერი ეს ჩამოყალიბდა ადამიანის ერთიანი ატლასის სახით, — თქვა ბატონმა რამაზმა. — გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დღეს ჩვენ შევეცდებით სამი სხვადასხვა მოხსენებით წარმოვადგინოთ სიმსივნურ დაავადებათა გენეზის, დიაგნოსტიკისა და



აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი

მკურნალობის ახალი, სრულიად თანამედროვე ხედვა.

თავის მოხსენებაში აკადემიკოსმა რამაზ ხეცურიანმა მიმოიხილა ორგანიზმის ნორმალური უჯრედის ცხოველმოქმედების გარკვეული ასპექტები – მისი ურთიერთობები მეზობელ უჯრედებთან, რეაგირება მიმდინარე პროცესებზე, განვითარების გზებზე, მუშაობის რეჟიმზე, კონკრეტული ფუნქციების შესრულებასა და სიცოცხლის დასრულებაზე. აღნიშნა, რომ ორგანიზმში მთლიანად 30 ტრილიონი უჯრედია, რომელთაგან აბსოლუტურად ყველა ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ ემორჩილებიან საერთო ბრძანებებს, ერთმანეთთან შეთანხმებით ხდება მათი დიფერენცირება და შემდეგ ისინი სიცოცხლის ბოლომდე ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. შემდეგ სწავლული მედიკოსი შეეხო სიმსივნური უჯრედების ნორმალურისგან განსხვავებული მოქმედებების, მათ შორის ინფორმაციის მიღების, „დიფერენცირების“, საკუთარი დნმ-ის „შეკეთებისა“ და მუტაციების დაგროვების თავისებურებებზე:

— თანამედროვე მედიცინისა და ბიოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე რთულად შესასწავლი საკითხი სიმსივნური ტრანსფორმაციაა, რომელიც ერთჯერადი, მონოკაუზალური მოვლენა არ არის, ის ურთულესი, მრავალსაფეხურიანი გენეტიკური და ეპიგენეტიკური ევოლუციის შედეგია, — თქვა მომხსენებელმა.

იგი ასევე შეეხო უჯრედში სიმსივნური წარმონაქმნის განვითარებაში დნმ-ის მუტაციის განვითარების როლსა და გზებს, ამ მიმდინარე პროცესებში სისხლის მნიშვნელობას, გამრავლებისა და შენიღბვის თავისებურებებს.

— კანცეროგენების კვლევა ბოლო წლებში თითქმის სულ ახლებურად შეიცვალა. დღესდღეობით, მეცნიერება სიმსივნეს განიხილავს, როგორც რთულ ბიოლოგიურ ეკოსისტემას, — აღნიშნა ბატონმა რამაზმა და დაახასიათა მისი ეპიგენეტიკური „ლანდშაფტის“ ცვლილება, სიმსივნური მიკროგარემო, „თხევადი ბიოფსია“, მეტაბოლური რეპროგრამირება და მიკრობიომი.

**„ბოლო აღმოჩენებმა საფუძველი ჩაუყარა პერსონალიზებულ მედიცინას, ჩვენ აღარ ვმკურნალობთ, ზოგადად, რომელიღაც ორგანოს, ვთქვათ, ფილტვის კიბოს, არამედ ვმკურნალობთ კონკრეტულ გენეტიკურ შეცდომას, რომელიც კონკრეტული ადამიანის ორგანიზმში მოხდა“ — ეს გახლავთ აკადემიკოს რამაზ ხეცურიანის მოხსენების ერთგვარი შემაჯამებელი დასკვნა.**

ნეოპლაზმის (ანუ სიმსივნის) ფორმირების პროცესი, რომლის დროსაც ორგანიზმის ნორმალური უჯრედი განიცდის **გენეტიკურ, ეპიგენეტიკურ** (ანუ მის მიერ გენების წაკითხვის პროცესზე ზეგავლენის მქონე) და **მეტაბოლური** (ანუ სიცოცხლის შესანარჩუნებლად მიმდინარე ქიმიური პროცესების) ცვლილებებს, რის შედეგად ხდება მისი ავტონომიური და უკონტროლო ზრდა, ზოგიერთი საკვანძო საკითხი განიხილა თავის მოხსენებაში აკადემიკოსმა **დავით მიქელაძემ.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ




ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ირაკლი სასანია (მარცხნივ)

წამყვანი როლი სიმსივნური წარმონაქმნების ტრანსფორმაციაში აქვს ეგრეთ წოდებულ **ონკოგენების დისრეგულაციას** (ანუ გაღიზიანების შეუფერებლად მძაფრ რეაქციას). **ონკოგენი ნორმალური გენის (პროტოონკოგენის) მუტირებული ფორმაა, რომლის განუწყვეტელი აქტივაცია კიბოსთვის დამახასიათებელ უკონტროლო ზრდას იწვევს. ადამიანებსა და ცხოველებში ორასზე მეტი პროტოონკოგენია დახასიათებული. ვარაუდობენ, რომ ადამიანის მთლიანი გენომის დაახლოებით ერთ პროცენტს აქვს ონკოგენად გარდაქმნის პოტენციალი. ნორმალური გენების ონკოგენებად გარდაქმნა იწვევს „ფუნქციების მომატებას“, რაც უჯრედებს განუსაზღვრელი ვადით გამრავლებას განაპირობებს.**

**ანტიონკოგენები (ანუ სიმსივნის დამთრგუნავი გენები) არის ის დამცავები, რომლებიც უჯრედის ზრდას არეგულირებენ და კიბოს განვითარების დროს უარყოფითი რეგულატორების როლს ასრულებენ. მათი ძირითადი ფუნქციაა მუტაციის შემთხვევაში უჯრედული ციკლის რეგულირება. ამრიგად, სიმსივნური ტრანსფორმაციის განვითარებაში მონაწილეობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების გენთა ორი ჯგუფი: ონკოგენები, რომელთა მუტაცია იწვევს უჯრედების უკონტროლო გამრავლების სტიმულაციასა და ანტიონკოგენები, რომელთა ინაქტივაცია, უჯრედული ციკლის შეუფერხებელი მსვლელობის გამო, აძლიერებს არაკონტროლირებადი გამრავლების პროცესს.**

ექიმ-ონკოლოგმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა **ალექსანდრე თავართქილაძემ** თავის მოხსენებაში სიმსივნე როგორც მრავალდონიანი – მოლეკულურიდან ორგანიზმულამდე – დისრეგულაცია (ამ შემთხვევაში ფიზიოლოგიური პროცესების არაეფექტიანი მართვა) ერთდროულად „სამ ენაზე“ განიხილა. ეს „ენებია“ კერძოდ, **ანატომია** (თუ სად ჩანს ეს ცვლილება), **ბიოქიმია** – (თუ რატომ ხდება) და **კლინიკა** (თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს პაციენტისთვის).

ბატონმა ალექსანდრემ ასევე აღნიშნა, რომ ჩამოყალიბების პროცესში, სისტემა შემდეგ ეტაპებს გადის: არასტაბილურობა და სხვადასხვა მუტაციები, უჯრედის ციკლის კონტროლის დაკარგვა, სიკვდილისგან თავის არიდება და პლასტიურობა, ქსოვილური არქიტექტურის დარღვევა, სიმსივნის მიკროგარემო და ანგიოგენეზი (ანუ არსებული სისხლძარღვებიდან ახალი სისხლძარღვოვანი კაპილარების წარმოქმნის პროცესი) იმუნური ციკლის დარღვევის წერტილები.

კვლევების შედეგად „ზუსტი მედიცინის“ პრაქტიკული შედეგია ინტეგრირებული დიაგნოზი, რომელიც წარმოადგენს მულტიმოდალურ ერთიან დასკვნას (მორფოლოგია, იმუნო+მოლეკულა+კლინიკური კონტექსტი), ხოლო BEST-კლასიფიკაცია ბიომარკერს სწორ როლს ანიჭებს (დიაგნოსტიკურს, პროგნოსტიკურს, პროგნოზირებადს, ფარმაკოდინამიკურსა და მონიტორინგულს).



აკადემიკოსი თინათინ სადუნიშვილი, აკადემიკოსი დავით მიქელაძე.

**დასკვნის სახით, მომხსენებელმა თქვა, რომ დონეები ერთმანეთზეა გადაბმული და გაზომვადი ბიომარკერები ხდება გადაწყვეტილების „ბერკეტი“.**

* * *

**კითხვა-პასუხის რეჟიმში გამართულ კამათში, მომხსენებლებს შეკითხვებით მიმართეს და აზრი გამოთქვეს სხდომაზე საგანგებოდ მიწვეულმა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ირაკლი სასანიამ, აკადემიკოსებმა რამაზ გახოკიძემ, რამაზ შენგელიამ, ზურაბ ქევანიშვილმა, თინათინ სადუნიშვილმა, პროფესორებმა ბეჟან წინამძღვრიშვილმა, რამაზ ჩიხლაძემ, კონსტანტინე მარდალეიშვილმა, კონსტანტინე ყიფიანმა, არჩილ ჩხოტუამ.**

ავთვისებიან სიმსივნეთა პრობლემის აქტუალობიდან და წარმოდგენილ მოხსენებათა შინაარსიდან გამომდინარე მრავალპროფილიან შეკითხვებს, რომლებიც ეხებოდა კიბოს გამომწვევ ეკოლოგიურ მიზეზებსა და სტატისტიკას, გამომწვევ გარე ფაქტორებს, დაავადებათა პრევენციას, ვირუსების როლს, სნეულების მემკვიდრეობით ფაქტორს, კავშირებს რეგენერაციულ პროცესებთან, ასაკობრივ ცენზთან და სხვ., სამივე მომხსენებელმა ამომწურავად უპასუხა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ირაკლი სასანიამ** მოხსენებათა ავტორ სწავლულებს მადლობა გადაუხადა მაღალი დონის სხდომის ჩატარებისთვის, აღნიშნა სამედიცინო კვლევათა უმნიშვნელოვანეს საქმეში მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უდიდესი როლი.

**— კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქვეყანაში მაღალი დონის პოლიტიკური გადაწყვეტილებები აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერთა შესაბამის დასკვნებს,** – განაცხადა ბატონმა **ირაკლი სასანიამ.**

სხდომის შედეგების შეჯამებისას, აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** ასევე მადლობის სიტყვები უთხრა მოხსენებების ავტორებს, განსაკუთრებულად აღნიშნა სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს და მისი თავკაცის, აკადემიკოს რამაზ ხეცურიანის როლი მაღალი დონის მრავალწლიან ნაყოფიერ მუშაობაში.

**— განსაკუთრებული მადლობა მინდა მოვახსენო თავად შესანიშნავ ექიმს, აკადემიის დიდ მეგობარს, ჯანდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ ირაკლი სასანიას საბჭოს სხდომაში მონაწილეობისთვის და ხაზგასმით აღვნიშნო იმ დიდი მხარდაჭერის ძალა, რომელსაც აკადემია მუდამ გრძნობს ქვეყნის ხელისუფლებისგან,** — თქვა ბატონმა **როინ მეტრეველმა.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

(მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ).



# მოსახლეობის გვერდით ვერაგ სენთან ბრძოლაში

**მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ აღნიშნა, რომ პირველი მაისიდან თბილისის მერიის „დაავადებათა სკრინინგის" პროგრამას ფილტვის კიბოს სკრინინგიც დაემატება, რასაც ასევე მუნიციპალიტეტი დააფინანსებს.**

მერის განცხადებით, თბილისის მერია სიმსივნური დაავადებების როგორც სკრინინგულ, ისე მკურნალობისთვის აუცილებელ არაერთ პროგრამას ახორციელებს, რაც მომავალშიც გაგრძელდება.



**„თბილისის მერია ამ ვერაგ სენთან ბრძოლაში მუდმივად მოსახლეობის გვერდით დგას და სიმსივნური დაავადებების როგორც სკრინინგულ, ისე მკურნალობისთვის აუცილებელ არაერთ პროგრამას ახორციელებს, რაც მომავალშიც გაგრძელდება. ბიუჯეტში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების მიმართულებას. გვაქვს ბევრი მნიშვნელოვანი პროგრამა, რომლითაც ვეხმარებით იმ ოჯახებს, ადამიანებს, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ჩვენი თანადგომა. არავის დავტოვებთ პრობლემების პირისპირ. ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, ყველას დავეხმარებით, გვერდით დავუდგებით. ამ დამოკიდებულებაზე მეტყველებს თუნდაც 2026 წლის ბიუჯეტი, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი სახით არის წარმოდგენილი ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით არსებული პროგრამები"**, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

მისივე თქმით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის მიზნით, ადმინისტრირებას უწევს „დაავადებათა სკრინინგის", „ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის" და „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების" პროგრამებს, ასევე, „სამედიცინო საჭიროებების დაფინანსების" პროგრამის ფარგლებში, აფინანსებს ონკოპაციენტების სხვადასხვა მოთხოვნას.

**„დაავადებათა სკრინინგის" პროგრამის ფარგლებში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, სრულად ფინანსდება ძუძუს, საშვილოსნოს ყელისა და კოლორექტული კიბოს სკრინინგი და პროსტატისა და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტები. პროგრამის მიზანია დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა, კიბოს საწყის სტადიაზე გამოვლენა და ონკოდაავადებებით გამოწვეული ლეტალობის რიცხვის შემცირება. 2025 წელს „დაავადებათა სკრინინგის" პროგრამის ფარგლებში 150 367 შემთხვევა დაფინანსდა, აქედან დიდი წილი – 142 203 თბილისის მერიის „ეროვნულ სკრინინგ ცენტრზე" მოდის. უახლოეს მომავალში, „დაავადებათა სკრინინგის" პროგრამას მეექვსე სახის კვლევა – ფილტვის კიბოს სკრინინგი დაემატება, რაც ასევე სრულად დაფინანსდება.**

**2025 წელს ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტები 347 მოქალაქეს დაუფინანსდა. ერთი მოქალაქის მიერ მკურნალობის სრული კურსის ჩასატარებლად, მერიის მიერ მინიმუმ 24 750 და მაქსიმუმ 70 110 ლარი გაიცემა.**

## ლაშა აბაშიძე:

# ზაფხულის სეზონისთვის ორი განახლებული სამგზავრო მატარებელი გვეყოლება, ხოლო წლის ბოლომდე კიდევ სამი შემადგენლობის მოდერნიზებაა დაგეგმილი



**დავიწყეთ სამგზავრო მატარებლების შეკეთების პროცესი, ზაფხულის სეზონისთვის უკვე განახლებული მატარებლები გვეყოლება,** – ამის შესახებ „საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა **ლაშა აბაშიძემ** განაცხადა.

ლაშა აბაშიძემ სავაგონო დეპოში სამგზავრო მატარებლების განახლების სამუშაოები დაათვალიერა.

როგორც რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, ორი მატარებლის შეკეთება ზაფხულში დასრულდება, რის შემდეგაც კიდევ სამი მატარებლის განახლებაა დაგეგმილი.

**„იდენტიფიცირებულია ყველა ტექნიკური პრობლემა, რაც სამგზავრო მატარებლების მიმართულებით იყო და დაწყებულია აქტიური მუშაობა სამგზავრო მატარებლების განახლებისა და მოდერნიზებისთვის"**, – განაცხადა **ლაშა აბაშიძემ.**

# საქართველო მადრიდში, გასტრონომიულ კონგრესზე...

**საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მსოფლიოში ყველაზე გავლენიან გასტრონომიულ კონგრესსა და გამოფენაში Madrid Fusion მიიღო მონაწილეობა.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ესპანეთის დედაქალაქში კონგრესზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ქართველ შეფ-მზარეულებთან დავით ნარიმანიშვილთან და გურამ ბაღდოშვილთან ერთად წარდგა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მადრიდში ქართული რესტორანი „ნუნუკა".

ქართველმა შეფ-მზარეულებმა საქართველოს სტენდზე და კონგრესის მულტიფუნქციურ სცენაზე მასტერკლასები ჩაატარეს. გასტროკონგრესის მონაწილეები, კულინარიის საერთაშორისო ექსპერტები ქართულ სამზარეულოსა და გასტრონომიულ ტრადიციებს გაეცნენ.



მადრიდის საერთაშორისო გასტრო კონგრესის ფარგლებში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტენდთან სტუმრებმა და კულინარიის სფეროს წარმომადგენლებმა ქართული კერძები და ღვინო დააგემოვნეს.

კონგრესში მსოფლიოში ცნობილი და გავლენიანი შეფ-მზარეულები შეიკრიბნენ ესპანეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ქართულ სამზარეულოს გაეცნენ.

Madrid Fusion-ზე, საქართველოს კულინარიული სტენდი ესპანური ტელეკომპანიების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. გასტრო კონგრესი Madrid Fusi0n 24 წელია იმართება. კონგრესს მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნიდან 26 ათასზე მეტი სტუმარი ჰყავდა. საერთაშორისო კულინარიულ ღონისძიებაში 2000-მდე პროფესიონალი მონაწილეობდა.

# საქართველოს პავილიონი ბერლინში

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, გერმანიის ქალაქ ბერლინში საერთაშორისო გამოფენაში FRUIT LOGISTICA 2026 თერთმეტი ქართული კომპანია მონაწილეობს.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, წელს საქართველოს პავილიონში წარმოდგენილია ლურჯი მოცვის, ჩირისა და სანელებლების მწარმოებელი კომპანიები: **„აგროლეინი", „ბლუ ბერდ ბერიზი", „კოლხური კენკრა", „აგრითაჩი", „გეო აგრო ესთეითი", „ხონის პლანტაციები", „ჯეო ორგანიკი", „ალფაინ სფაისისი", „ჯენტრი ინვესტმენტი", „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი", „საქართველოს აგრარული გაერთიანება".**




გამოფენის გახსნას სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე გიორგი ავალიანი და გერმანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ალექსანდრე კარტოზია დაესწრნენ.

FRUIT LOGISTICA ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო გამოფენაა და წარმოადგენს გლობალურ პლატფორმას ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებელთათვის. მიმდინარე წელს გამოფენაში მონაწილეობს სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი 2,500-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია.

# ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია თელ-ავივის საერთაშორისო გამოფენაზე წარდგა

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ისრაელში, თელ-ავივში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში IMTM 2026 მონაწილეობს.**

IMTM 2026-ზე, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, 30-ზე მეტი ტურისტული კომპანია და სასტუმროა წარდგენილი, გამოფენაში ჩართულია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაცია.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, IMTM 2026-ის ფარგლებში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტენდთან ვიზიტორებს საშუალება აქვთ, დააგემოვნონ ქართული პროდუქტები, ინფორმაცია მიიღონ საქართველოს კურორტებისა და ტურისტულად საინტერესო ადგილების შესახებ.

**„ისრაელის ტურისტული გამოფენა ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი უდიდესია. IMTM 2026-ზე ვიზიტორთა რაოდენობა 20 ათასს აჭარბებს, გამოფენაზე 50-ზე მეტი ქვეყნის ტურისტული ორგანიზაცია და კომპანიაა წარდგენილი"**, – აცხადებენ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში.



**„ინდოეთის ხელისუფლება მიესალმება დონალდ ტრამპთან დადებულ „გარიგებას“, მაგრამ რუსული ნავთობის შესყიდვის შეწყვეტას არ ადასტურებს“** – ასეთი სათაური აქვს ბრიტანულ გაზეთ **„ფაინენშელ თაიმსში“ (Financial Times)** გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც ავტორები – **ჯონ რიდი, ანდრეს შიპანი, კრიშნა კაუშიკი** და **ჯეიმს სმიტი** აშშ-ინდოეთს შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულების ირგვლივ მიმდინარე აჟიოტაჟურ მოვლენებს განიხილავენ. **„მართლაც გადაწყვიტა ინდოეთმა უარი თქვას რუსული ნავთობის ყიდვაზე?“** – აი, ამ მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაა გადმოცემული მასალაში.

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:**

FT.com
FINANCIAL TIMES



# ინდოეთი ტრამპის „გარიგებას“ მიესალმება

**„ინდოელი ლიდერები პოზიტიურად მიესალმნენ დონალდ ტრამპის განცხადებას, რომ დიდი ხნის ლოდინის შემდეგ აშშ-ინდოეთის სავაჭრო ხელშეკრულება უკვე დადებულია, თუმცა ისინი ეჭვის თვალით უყურებენ აშშ-ის პრეზიდენტის ნათქვამს, რომ სამაგიეროდ ინდოეთმა პირობა დადო – რუსულ ნავთობს აღარ შეისყიდის“.**

პრემიერ-მინისტრს **ნარენდრა მოდის** ნავთობის თაობაზე არაფერი უთქვამს, როცა ისიც მიესალმა ხელშეკრულების დადებას. იგივენაირად მოიქცა ინდოეთის ვაჭრობის მინისტრიც.

**ინდოეთის მიერ რუსული ნავთობის შესყიდვაზე ნებისმიერი უარი ან შეზღუდვა ქვეყნისათვის დიდი შედეგების გამომწვევია: ასეთი ნაბიჯი გამოცდის წინაშე დააყენებდა ინდოეთ-რუსეთის ტრადიციულ „სტრატეგიულ პარტნიორობას“ და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს არასასიამოვნო მდგომარეობას შეუქმნიდა უკრაინის წინააღმდეგ მიმართული ომის დაფინანსებაში. უფრო მეტიც – სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენებდა ინდურ ნავთობგადამმუშავებელ კომპანიებს, რომლებიც დიდი ხანია მიეჩვივნენ იაფი და ადვილად გადასამუშავებელი რუსული ნავთობით სარგებლობას.**

მაგრამ როცა ინდოეთის მთავრობა არ ადასტურებს დონალდ ტრამპის ნათქვამს – ინდოეთმა უარი განაცხადა რუსული ნავთობის შესყიდვაზეო, დამაჯერებელია თუ არა აშშ-ის პრეზიდენტის განცხადება? ანალიტიკოსები მას სკეპტიკურად უყურებენ.

**„რასაკვირველია, მთლიანობაში ინდოეთი ცდილობს ნავთობის შესყიდვის დივერსიფიცირებას, ცდილობს მოსკოვური ენერგომატარებლებიდან ჩამოშორებას და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება“,** – ამბობს **ჰარშ პანტი**, ანალიტიკური ცენტრის Observer Research Foundation-ის თანამშრომელი, – **„მაგრამ ვისაც ჰგონია, რომ ინდოეთი უეცრად უარს იტყვის რუსულ ნავთობზე, ის მწარედ ცდება. ინდოეთის მთავრობისგან მსგავსი გადაწყვეტილების მიღება ნაკლებად სავარაუდოა“.**

**„აშშ-ის პრეზიდენტის განცხადება, რომ ინდოეთი ამერიკულ პროდუქციაზე საბაჟო გადასახადებს (სავაჭრო ტარიფებს) გააუქმებს, იყიდის ამერიკულ პროდუქციას 500 მილიარდი დოლარის ოდენობით და უარს იტყვის რუსული ნავთობის შესყიდვაზე, ინდოეთის ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ დაუდასტურებია, ამიტომ ამერიკელი ლიდერის ნათქვამი არარეალური და ნაკლებად სარწმუნოა“,** – ამბობს **ალექსანდრა ჰერმანი,** ანალიტიკური ცენტრის Oxford Economics-ის წამყვანი თანამშრომელი.

**„ფაქტია, რომ ინდოეთმა გასული წლის ბოლოს რუსული ნავთობის შესყიდვა შეამცირა, მაგრამ მე არ მჯერა, რომ ნარენდრა მოდიმ ვალდებულება აიღო მის მთლიანად შეწყვეტის თაობაზე“,** – ამბობს **მუკეშ აგი,** ანალიტიკური ცენტრის „აშშ-ინდოეთის სტრატეგიული პარტნიორობის“ გენდირექტორი, რომლის მთავარი ოფისი ვაშინგტონში მდებარეობს, – **„როდის რა მოხდება, ჯერჯერობით უცნობია“.**

ბუნებრივია, ინდური ბაზრის ნებისმიერი შემცირება მოსკოვის ფინანსურ პრობლემებს გააღრმავებს. გასულ წელს, ამერიკული სანქციების შედეგად, ნავთობის გაყიდვისაგან მიღებული შემოსავლები კრემლს 24%-ით შეუმცირდა. ამჟამად ენერგოშემცველების გაყიდვით რუსეთის ხაზინა შემოსავლების 20%-ს იღებს, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო ათწლეულში.

**დონალდ ტრამპმა ისიც თქვა, რომ რუსული ნავთობის ნაცვლად, ინდოეთი ამერიკულ და ვენესუელურ ნავთობს მიიღებს. სხვათა შორის, ვენესუელის დროებითმა პრეზიდენტმა დელსი როდრიგესმა გასულ კვირას განაცხადა, რომ მას ნარენდრა მოდისთან „და-ძმური“ საუბარი ჰქონდა: კარაკასმა და ნიუ-დელიმ ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაზე მოილაპარაკეს. აღსანიშნავია, რომ ინდოეთი ვენესუელის ნავთობს ნიკოლას მადუროს გატაცებამდეც (1,4 მილიარდი დოლარის მოცულობით) ყიდულობდა, მაგრამ კლებადი ტენდენციით. ამის მიზეზი ისაა, რომ „მძიმე“ და მინარევებიანი დაბალი ხარისხის ვენესუელური ნავთობი შედარებით იაფი ღირს, მაგრამ გადასამუშავებლად მეტ ხარჯებს მოითხოვს.**

ამასთან, ეჭვებს იწვევს თვითონ ვენესუელის უნარი – მეტი ნავთობი მიაწოდოს ინდოეთს. ნორვეგიული კონსალტინგური კომპანიის (Rystad Energy) შეფასებით, კარაკასს მინიმუმ 53 მილიარდი დოლარი დასჭირდება ნავთობმოპოვების სფეროში ინვესტიციებისათვის და 15 წელი იმისთვის, რომ დღე-ღამეში 1,1 მილიონი ბარელი ნავთობი მოიპოვოს, როგორც ეს 1990-იან წლებში ხდებოდა.

ასე რომ, თუ ინდოეთი რუსული ნავთობის შესყიდვას მკვეთრად შეამცირებს, ის ვენესუელის ნავთობის შესყიდვას კი არ გააფართოვებს, არამედ მზერას სხვა ქვეყნებს მიაპყრობს, მაგალითად, სპარსეთის ყურეში, კატარსა და კუვეიტს.

**„ინდოეთის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა Nayara Energy, რომელიც რუსულ „როსნეფტს“ ეკუთვნის, ბუნებრივია, მხოლოდ რუსულ ნავთობს იყენებს და მისი გაჩერება მხოლოდ ინდოეთის მთავრობის პირდაპირი და რადიკალური ზეწოლის შედეგად მოხდება“,** – ამბობს **სერგეი ვაკულენკო,** აშშ-ის კარნეგის ფონდის რუსულ-ევრაზიული ცენტრის თანამშრომელი, – **„ინდოეთი ისედაც იმყოფება ამერიკული, ბრიტანული და ევროკავშირის სანქციების ქვეშ, ამიტომ მას დასაკარგი არაფერი აქვს. შეიძლება ნიუ-დელიმ მცირე დროით შეამციროს რუსული ნავთობის შესყიდვა, მაგრამ მთლიანად შეწყვეტა წარმოუდგენელია“.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ.**

# გერმანია იტალიისკენ შემობრუნდა...

**გერმანია და საფრანგეთი, ერთად, ევროპის ძრავააო, ამბობენ. ამიტომ, ევროკავშირისთვის ამ ორ ქვეყანას შორის ჰარმონიული ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, ურთიერთობა, ხანდახან, იძაბება ხოლმე და, შესაბამისად, ძრავაც შეფერხებით მუშაობს. ამჟამად საფრანგეთსა და გერმანიას შორის უთანხმოების ბევრი მიზეზი დაგროვდა, რადგან, საფრანგეთის პრეზიდენტსა და გერმანიის კანცლერს, უამრავ საკითხზე, სხვადასხვა შეხედულება აქვთ, მაგალითად, ევროპის შეიარაღებაზე.**

ოთხი წლის წინ, საფრანგეთმა და გერმანიამ თანამედროვე სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავების აგება გადაწყვიტეს. თავიდან ყველაფერი შეთანხმებულად მიდიოდა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ საფრანგეთმა, ამ საქმეში, უპირატესი პოზიციის დაკავება მოინდომა, რამაც ორ ქვეყანას შორის უთანხოება გამოიწვია. უნდა ითქვას, რომ მსგავსი პროექტების სავალალოდ დამთავრების მაგალითი საკმაოდ ბევრია ევროპაში. ფრიდრიხ მერცმა ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობათა ახალი ღერძის შექმნა გადაწყვიტა: ბერლინი-პარიზის ნაცვლად მან ბერლინსა და რომს შორის სტრატეგიული ურთიერთობის მოდელს მისცა უპირატესობა, რასაც გერმანიისა და იტალიის ახლანდელ ლიდერებს შორის კარგი პირადი ურთიერთობა უწყობს ხელს. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ოფიციალური ვიზიტით, რომს ფრიდრიხ-მერცი ეწვია. მას, თითქმის, მთელი თავისი კაბინეტი ახლდა თან. შეხვედრის დროს, ფრიდრიხ მერცმა და ჯორჯია მელონიმ ორმხრივი სტრატეგიული თანამშრომლობის ერთობლივ სამოქმედო გეგმას მოაწერეს ხელი. როგორც ბუნდეს-კანცლერმა განაცხადა, ეს 32-გვერდიანი დოკუმენტი ურთიერთობათა ახალ ღერძს ქმნის, რომელიც წინ წასწევს ევროპულ საქმეებს.



იტალიის პრემიერის თქმით, მიმდინარე რთული საერთაშორისო ვითარება ევროკავშირს არჩევანის წინაშე აყენებს, ითამაშოს წამყვანი როლი მიმდინარე მოვლენებში, თუ, უბრალოდ, იმოქმედოს, როგორც დამკვირვებელმა. იტალიასა და გერმანიას კი, აქტიური მოთამაშის როლი უფრო მოსწონს. ეს დოკუმენტი სწორედ ამის დასტურიაო, აღნიშნა მელონიმ. დოკუმენტში, თითქმის, ყველა საკითხში, გაწერილია ერთიანი სამოქმედო გეგმა, ევროპამ მძიმე რეგულაციები უნდა შეამციროს და უფრო კონკურენტუნარიანი გახდესო! გეგმის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი ევროპის შეიარაღების საკითხია, რაშიც იტალია და გერმანია, ისედაც, დიდი ხნის პარტნიორები არიან. გერმანულ რაინმეტალსა და იტალიურ ლეონარდოს უკვე აქვთ ერთობლივი საწარმო ტანკებისა და სხვა სამხედრო ტექნიკის შესაქმნელად. ამას ადასტურებს შვიდი ორმხრივი შეთანხმება და ვალდებულება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მოიცავს ერთობლივ პროექტებს ავიაციის, სარაკეტო და საზღვაო თავდაცვის, ასევე, წყალქვეშა ნავების მშენებლობაში.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ წელიწადში ორჯერ, ორი ქვეყნის საგარეო და თავდაცვის მინისტრები საკონსულტაციო შეხვედრებს გამართავენ. შეხვედრაზე, ფრიდრიხ მერცმა ხაზი გაუსვა, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრის პოზიტიური ჩარევის გარეშე, ბევრი საკითხი ვერ გადაწყდებოდა. როგორც პრესამ აღნიშნა, გერმანიის ლიდერმა, მერკოსურსა და ტრამპთან ურთიერთობის საკითხი იგულისხმა. მოგეხსენებათ, მერკოსური.

ლათინური ამერიკის სამხრეთ ქვეყნების საერთო ბაზარს წარმოადგენს, რომელთანაც შარშან, ევროკავშირმა ხელშეკრულება გააფორმა, თუმცა, დოკუმენტის რატიფიკაციას საფრანგეთი უშლიდა ხელს, რადგან ფრანგი ფერმერები ამ ხელშეკრულების წინააღმდეგი იყვნენ. ევროპარლამენტმა მხოლოდ მელონის ჩარევით გადაწყვიტა ეს საკითხი დადებითად.

რაც შეეხება ტრამპთან ურთიერთობას, აქაც, ჯორჯა მელონი უფრო მოქნილად იქცევა, ვიდრე, ევროპის სხვა ქვეყნების ლიდერები. ამერიკის პრეზიდენტთან ურთიერთობაში, ის უფრო დამაჯერებულად იქცევა, ვიდრე სხვები. როგორც თავად მელონიმ განაცხადა, მას ტრამპთან ურთიერთობაში არჩეული აქვს არა მლიქვნელური, არამედ ჩვეულებრივი რბილი ტონი. მაგალითად, მელონიმ საკმაოდ გასაგებად აუხსნა ამერიკის პრეზიდენტს, თუ რატომ ვერ გაწევრიანდება ტრამპის მიერ შექმნილ მშვიდობის საბჭოში.

**მოკლედ, გერმანიამ ფსონი არა საფრანგეთზე, არამედ, იტალიაზე დადო. ადრე, მელონის და მის პარტიას პროფაშისტურს ეძახდა. ახლა, როგორც ჩანს, გერმანიის ლიდერი მიხვდა, რომ ფსევდოლიბერალური ნარატივი უნდა დათმოს და რეალობას პირდაპირ შეხედოს თვალებში...**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV

# დღეს იტალიაში ზამთრის 25-ე ოლიმპიური თამაშები იხსნება

## როგორც არასდროს — იმედით ველით

**ზამთრის XXV ოლიმპიური თამაშები – მილანი/კორტინა 2026 იტალიაში, მილანი/კორტინა დ'ამპეცოში 6-22 თებერვალს ჩატარდება.**

ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან სპორტის 2 სახეობაში: ფიგურული სრიალი და სამთო თხილამურობა ისპარეზებს 8 სპორტსმენი.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ზამთრის XXV ოლიმპიურ თამაშებზე:**

**ნიკა ეგაძე** – ფიგურული სრიალი, მამაკაცთა ერთეულები.

**ანასტასია გუბანოვა** – ფიგურული სრიალი, ქალთა ერთეულები.

**ანასტასია მეტელკინა /ლუკა ბერულავა** – ფიგურული სრიალი, სპორტული წყვილები.

**დიანა დევისი/ გლებ სმოლკინი** – ფიგურული სრიალი, სპორტული ცეკვები.

**საქართველის ფიგურული სრიალის ნაკრები** – გუნდური ტურნირი.

**ნინო წიკლაური** – სამთო თხილამურობა.

**ლუკა ბუჩუკური** – სამთო თხილამურობა.




ზამთრის XXV ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი **ლერი ხაბელოვი** უხელმძღვანელებს, ოლიმპიურ სოფელში კი მისიის ხელმძღვანელი იქნება ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტი, სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი **მარიამ გიორგობიანი**.



## მოვლენათა ეპიცენტრში

**მილანის ოლიმპიური სოფლის ბინადართა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. ოლიმპიური სოფლის გახსნით სპორტსმენთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ნანატრი მომენტი დაიწყო.**

2026 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილეები მასპინძელ ქვეყანაში, იტალიაში ჩასვლით, შემდეგ დაბინავებით მიღებულ შთაბეჭდილებებს: დაწყებული საკუთარი ოთახების აღმოჩენით, დასრულებული იტალიურ სამზარეულოსთან პირველი შეხვედრით, სოციალურ ქსელებში აზიარებენ.

იტალია ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სოფელში დაბინავდა, მათ კი გერმანიის, ჩეხეთისა და იაპონიის მრავალრიცხოვანი დელეგაციები მოჰყვნენ.

ოლიმპიური სოფლის სრული დატვირთვით ამოქმედებასთან ერთად, მილანი/კორტინა 2026-ის გუნდი მზადაა, ოლიმპიელთათვის იდეალური პირობების შესაქმნელად, რათა მათ შეძლონ საკუთარ შედეგებზე კონცენტრირება და ამავდროულად, შეიგრძნონ ზამთრის ოლიმპიური თამაშების განსაკუთრებული ატმოსფერო.ოლიმპიური სოფელი, რომელიც თამაშების განმავლობაში სპორტსმენთათვის ერთგვარ მთავარ ცენტრადაა მიჩნეული, უზრუნველყოფილია საცხოვრებლით, კვებით, სავარჯიშო და აღდგენითი სივრცეებით, უსაფრთხო და მეგობრული გარემოთი.

ოლიმპიური სოფელი პირველივე დღიდან სრული დატვირთვით ამოქმედდა. გაიხსნა მთავარი სასადილო დარბაზი, რომელიც 24/7-ზე მუშაობს და მოიცავს კვების რამდენიმე პუნქტსა და ბუფეტს, სადაც სპორტსმენთა საჭიროებებზე მორგებული ბალანსირებული კვებაა შეთავაზებული. ასევე ღიაა ფიტნეს ცენტრი, აღდგენითი და საერთო სივრცეები.

მილანის ოლიმპიურ სოფელს უშუალოდ გაეცნო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტი **კირსტი ქოვენთრი,** რომელმაც ოლიმპიელებს საკუთარი მოგონებები გაუზიარა და მათ შთაბეჭდილებებსაც გაეცნო. ასევე გაეცნო იმ მრავალფეროვან სერვისებსა თუ აქტივობებს, რომლებიც ოლიმპიელთათვის არის გათვალისწინებული.

**„ეს მართლაც ამაღელვებელია. ჩემთვის განსაკუთრებული მომენტია ჩვენს ოლიმპიელებთან ერთად ყოფნა, რომლებიც მომდევნო ორი კვირის განმავლობაში იასპარეზებენ,** – აღნიშნა ქოვენთრიმ. – **სულმოუთქმელად ველოდებით იმას, თუ როდის მოგვგვრით შთაგონებას, რადგან ეს სწორედ ისაა, რასაც თქვენ აკეთებთ. გისურვებთ წარმატებას!“**

მილანის ოლიმპიურ სოფელში 1 700 სპორტსმენი, მწვრთნელი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი განთავსდება. მილანი ყინულის სპორტის სახეობების უმეტესობას მასპინძლობს, მათ შორის ფიგურულ სრიალსა და ჰოკეის.

კერძო დეველოპერის მიერ აშენებული ეს კომპლექსი, რომელიც დღეს ოლიმპიური სოფლის სტატუსით სარგებლობს, პარალიმპური თამაშების (6-15 მარტი) დასრულების შემდეგ, სტუდენტურ საცხოვრებლად გადაკეთდება.

ქართველი სპორტსმენები, მწვრთნელები, ადმინისტრაციულ-ტექნიკური და სამედიცინო პერსონალი, ოლიმპიური მისიის წარმომადგენლები უკვე შესახლდნენ ოლიმპიურ სოფელში. ჩვენმა ფიგურისტებმა რამდენიმე ვარჯიში გამართეს. ისინი ოლიმპიურ თამაშებში 6 თებერვლიდან ჩაებმებიან.

ოლიმპიური სოფელია მოწყობილი კორტინა დ'ამპეცოშიც და ის 377 მობილური სახლისგან შედგება. კორტინა ძირითადად სამთო თხილამურობას, ქერლინგს, ბობსლეის, ციგაობასა და სკელეტონს უმასპინძლებს.

# ბორჯღალოსნები მწვანე კონტინენტზე ბრუნდებიან

**მსოფლიო რაგბიმ 2027 წლის ავსტრალიის მსოფლიო თასის ჯგუფური ეტაპის თამაშების განრიგი და მასპინძელი სტადიონები დაამტკიცა.**

შეგახსენებთ, რომ ბორჯღალოსნებმა ისტორიაში პირველ მსოფლიო თასზე 2003 წელს სწორედ ავსტრალიაში ითამაშეს და გაისად კუნძულ-კონტინენტზე ზედიზედ მე-7 ფორუმში მონაწილეობისთვის ბრუნდებიან.

ისინი **„B“ ჯგუფში** მეტოქეობას მოქმედ გვირგვინოსან (სულ 4 ტიტული) სამხრეთ აფრიკას, იტალიასა და რუმინეთს ასეთი კალენდრით გაუწევენ.

**3 ოქტომბერი.** თაუნსვილის „ნორთ ქუინსლენდ სთედიუმი“. **რუმინეთთან,** რომელსაც 2011 წელს ახალ ზელანდიაშიც შევხვდით და 25:9 დავამარცხეთ. აღნიშნული არენა 2020 წელს გაიხსნა, 25 ათას მაყურებელს იტევს, ტურნირის 4 მატჩს მიიღებს (ჯგუფური ეტაპი) და გადახურვის ეფექტური დიზაინით გამოირჩევა.



**10 ოქტომბერი.** „ბრისბენ სთედიუმი“ (52 ათას 500 ადგილი), **სამხრეთ აფრიკასთან.** ამ სარბიელზე 2003 წლის მსოფლიო თასზე 9 შეხვედრა გაიმართა, ხოლო გაისად ჯგუფური რაუნდის 6, აგრეთვე 2-2 მეთექვსმეტედფინალი და მეოთხედფინალია დანიშნული. სხვათა შორის, მრისხანე მეტოქეს მაშინაც შევებით და, მართალია, ღირსეულ ბრძოლაში დავმარცხდით – 19:46, მაგრამ ტკბილად გვახსენდება **დავით დადუნაშვილის** პირველი ლელო.

**17 ოქტომბერი.** „ნიუკასლ სთედიუმი“ (30 ათასი მაყურებელი). **იტალიასთან** მსოფლიო თასის ეგიდით პირველად. აღნიშნული სარბიელი ჯგუფური ეტაპის 4 მატჩის მასპინძელი იქნება.

დავძენთ, რომ მე-11 მსოფლიო თასზე პირველად ითამაშებს ერთბაშად 24 გუნდი და იგი 1 ოქტომბერს 60-ათასიან „პერთი სთედიუმზე“ ავსტრალიისა და ჰონკონგის ნაკრებთა შეხვედრით გაიხსნება, ხოლო ფინალი 13 ნოემბერს სიდნეის 82-ათასიან „სთედიუმ ავსტრალიაზეა“ დანიშნული.

## ტალანტი და შრომა — ტრიუმფის რეცეპტი

**UFC-ის დაუმარცხებელმა ქართველმა ჩემპიონმა ილია თოფურიამ ესპანელ მეგობარს კარლოს ალკარასს ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვება და კარიერული სლემის მოპოვება მიულოცა.**

შეგახსენებთ, რომ ტურნირის ფინალურ შეხვედრაში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სერბი ლეგენდა **ნოვაკ ჯოკოვიჩი** 4-სეტიან დრამატულ ბრძოლაში 2:6, 6:2, 6:3, 7:5 დაამარცხა და მელბურნის კორტზე პირველი ტრიუმფი გამოჭედა, თანაც ღია ერაში ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელი გახდა, ვინც კარიერული სლემი გაიფორმა. მას აქამდე 2-2-ჯერ ჰქონდა მოგებული როლან გაროსი, უიმბლდონი და ამერიკის ღია ჩემპიონატი.

რაც შეეხება პირენეელის ისტორიული მიღწევისადმი ჩვენებურის მიძღვნილ ტექსტს, იგი ასეთი გახლავთ: **„როცა ტალანტი და თავდაუზოგავი შრომა ერთმანეთს ხვდება, სწორედ მაშინ იბადებიან ლეგენდები. კარიერული სლემის განსაკუთრებულ შესრულებას გილოცავ. შენი შეჩერება შეუძლებელია. კარლოს დიდებული ხარ!“**

დავძენთ, რომ მწვანე კონტინენტზე გაბრწყინებით ალკარასი დიდი მუზარადის ტურნირებზე წარმატებათა რაოდენობით (7) ჯონ მაკინროის და მათს ვილანდერს დაეწია, მათზე წინ კი ღია ერაში არიან: აგასი, ლენდლი, კონორსი (8), ბორგი (11), სამპრასი (14), ფედერერი (20), ნადალი (22) და ჯოკოვიჩი (24).




## მე–1000 გოლის წინ ბოიკოტის დროა?..

**ონლაინ-გამოცემა რეკორდის ინფორმაციით, ალ-ნასრის პორტუგალიელმა ლიდერმა კრიშტიანუ რონალდუმ შესაძლებელია საუდის არაბეთის კლუბი ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში დატოვოს.**

წყაროს ცნობით, უკვე 41 წლის ფეხბურთელი გუნდში თავს ბედნიერად აღარ გრძნობს და კარიერის გაგრძელების ვარიანტებს ევროპასა და ამერიკულ ემელესში განიხილავს და ეს ხდება იმ ფონზე, როცა 'გოლების ფაბრიკა“ მუდმივად ასხივებდა აღტაცებას მის ამჟამინდელ ბუნაგში განცხრომით მოგვრილი სიამოვნებით.

აღსანიშნავია, რომ მეგავარსკვლავის გამოსყიდვა მსურველებს 50 მილიონ ევროდ შეუძლიათ. იგი ალ ნასრის ღირსებას 2023 წლიდან იცავს, მხარეთა შორის კონტრაქტის ვადა კი გაისად იწურება.

ცნობილი ხდება აგრეთვე ისიც, რომ ქვეყნის ჩემპიონატში ერ-რიადთან 1:0 მოგებული




შეხვედრის წინ და მატჩის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის მწვრთნელსა და მოთამაშეებს ფლეშ-ინტერვიუების ზონაში გამოჩენა აუკრძალა, დადგენილი მედიავალდებულებები კი არც მთავარ მწვრთნელს **ჟორჟე ჟეზუშსა** და არც ვარსკვლავებს არ შეუსრულებიათ, თუმცა მოგვიანებით, არაბული მედიის ცნობით, ჟეზუშმა ბოდიში მოიხადა. პრესკონფერენციის ჩაშლის გამო მას სავარაუდოდ 7 ათასამდე ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს.

და ეს ხდება კლუბის მუშაობით უკმაყოფილო რონალდუს ბოიკოტის დღეებში, რომელმაც პროტესტის ნიშნად ნახსენები მატჩი გამოტოვა.

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს

# განცხადება სსე

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2026 წლის 27 იანვრის N 1-1/23 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას", რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე, ქვესადგურების გაფართოებას. პროექტის მიზანია საქართველოში ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერება და ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნა/მოხმარების დაკმაყოფილება. პროექტით გათვალისწინებული ელექტროგადამცემი ხაზი კახეთის რეგიონში განთავსდება. შესაბამისად, პროექტი უზრუნველყოფს ენერგომომარაგების სტაბილურობას კახეთის რეგიონში და შეამცირებს ენერგომომარაგების შეწყვეტის რისკს. პროექტი წარმოადგენს საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ნაწილს და მისი მიზანია გააძლიეროს ელექტროგადამცემი ქსელი საქართველოში, რათა გააუმჯობესოს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესაძლებლობები, დააკმაყოფილოს ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნები და დააკავშიროს არსებული და დაგეგმილი ენერგეტიკული პროექტები, ძირითადად ჰიდროენერგეტიკული პროექტები (ჰესები).

კახეთის რეგიონში დაგეგმილია 110 კვ-იანი ელექტროგადაცემის ხაზის სტორი ჰესი - ქვესადგური „ახალი თელავი" (სიგრძე 33 კმ) და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „იყალთო"- ს ქვესადგურ „ახალ თელავში" (სიგრძე 3.2კმ) შეჭრის მშენებლობის პროექტი. 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის იყალთოს ქვესადგურ „ახალ თელავში" შეჭრის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის ძირითადი მიზანია ქვესადგურ „ახალი თელავში" თავმოყრილი სიმძლავრის ქსელში გამოტანა, ასევე, კახეთში არსებული 110 კვ-იანი ქსელის საიმედოობის გაზრდა. აღნიშნული პროექტის განხორციელება შეამცირებს ენერგომომარაგების შეწყვეტის რისკს და საშუალებას მისცემს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე.

პროექტის ზემოქმედების არეალში მოექცა: შპს „მტორის" საკუთრებაში არსებული თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში მდებარე (ს/კ: 53.16.40.168) 89 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად); თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში მდებარე (ს/კ: 53.16.40.169) 74 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში მდებარე (ს/კ: 53.16.40.170) 74 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.171) მდებარე 75 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.163) მდებარე 74 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.164) მდებარე 86 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.165) მდებარე 80 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად); თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.166) მდებარე 111 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.156) მდებარე 49 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.157) მდებარე 98 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.158) მდებარე 97 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.159) მდებარე 91 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.160) მდებარე 98 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.161) მდებარე 74 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად).

უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობით გასხვისების

წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე" იმოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2026 წლის 27 იანვარს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **N1-1/23** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას"-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე", რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე"** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა შპს „მტორის" (ს/კ 431171091) საკუთრებაში არსებულ თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში მდებარე (ს/კ: 53.16.40.168) 89 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში მდებარე (ს/კ: 53.16.40.169) 74 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში მდებარე (ს/კ: 53.16.40.170) 74 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.171) მდებარე 75 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.163) მდებარე 74 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.164) მდებარე 86 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.165) მდებარე 80 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.166) მდებარე 111 კვ.მ მიწის ნაკვეთზე 1/27/2026 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.156) მდებარე 49 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.157) მდებარე 98 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.158) მდებარე 97 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ:53.16.40.159) მდებარე 91 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად; თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.160) მდებარე 98 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.161) მდებარე 74 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად.

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე" უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2026 წლის 27 იანვრის N 1-1/23 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას", რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე, ქვესადგურების გაფართოებას. პროექტის მიზანია საქართველოში ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერება და ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნა/მოხმარების დაკმაყოფილება. პროექტით გათვალისწინებული ელექტროგადამცემი ხაზი კახეთის რეგიონში განთავსდება. შესაბამისად, პროექტი უზრუნველყოფს ენერგომომარაგების სტაბილურობას კახეთის რეგიონში და შეამცირებს ენერგომომარაგების შეწყვეტის რისკს. პროექტი წარმოადგენს საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ნაწილს და მისი მიზანია გააძლიეროს ელექტროგადამცემი ქსელი საქართველოში, რათა გააუმჯობესოს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესაძლებლობები, დააკმაყოფილოს ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნები და დააკავშიროს არსებული და დაგეგმილი ენერგეტიკული პროექტები, ძირითადად ჰიდროენერგეტიკული პროექტები (ჰესები).

კახეთის რეგიონში დაგეგმილია 110 კვ-იანი ელექტროგადაცემის ხაზის სტორი ჰესი - ქვესადგური „ახალი თელავი" (სიგრძე 33 კმ) და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „იყალთო"- ს ქვესადგურ „ახალ თელავში" (სიგრძე 3.2კმ) შეჭრის მშენებლობის პროექტი. 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის იყალთოს ქვესადგურ „ახალ თელავში" შეჭრის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის ძირითადი მიზანია ქვესადგურ „ახალი თელავში" თავმოყრილი სიმძლავრის ქსელში გამოტანა, ასევე, კახეთში არსებული 110 კვ-იანი ქსელის საიმედოობის გაზრდა. აღნიშნული პროექტის განხორციელება შეამცირებს ენერგომომარაგების შეწყვეტის რისკს და საშუალებას მისცემს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე.

პროექტის ზემოქმედების არეალში მოექცა: რკ „ხუნდიანის" საკუთრებაში არსებული თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.174) მდებარე 91 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.175) მდებარე 80 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად), თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.176) მდებარე 94 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად) და თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.177) მდებარე 75 კვ.მ მიწის ნაკვეთი (სრულად).

უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე" იმოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის **N**1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2026 წლის 27 იანვარს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **N1-1/23** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას"-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე", რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე"** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა რკ „ხუნდიანის" (ს/ნ 431176309) საკუთრებაში არსებულ თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.174) მდებარე 91 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.175) მდებარე 80 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.176) მდებარე 94 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში (ს/კ: 53.16.40.177) მდებარე 75 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სრულად.

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე" უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 18 დეკემბრის N 1-1/455 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას", რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე, ქვესადგურების გაფართოებას. პროექტის მიზანია საქართველოში ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერება და ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნა/მოხმარების დაკმაყოფილება. პროექტით გათვალისწინებული ელექტროგადამცემი ხაზი კახეთის რეგიონში განთავსდება. შესაბამისად, პროექტი უზრუნველყოფს ენერგომომარაგების სტაბილურობას კახეთის რეგიონში და შეამცირებს ენერგომომარაგების შეწყვეტის რისკს. პროექტი წარმოადგენს საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ნაწილს და მისი მიზანია გააძლიეროს ელექტროგადამცემი ქსელი საქართველოში, რათა გააუმჯობესოს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესაძლებლობები, დააკმაყოფილოს ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნები და დააკავშიროს არსებული და დაგეგმილი ენერგეტიკული პროექტები, ძირითადად ჰიდროენერგეტიკული პროექტები (ჰესები).

კახეთის რეგიონში დაგეგმილია 110 კვ-იანი ელექტროგადამცემის ხაზის სტორი ჰესი – ქვესადგური „ახალი თელავი" (სიგრძე 33 კმ) და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „იყალთო"- ს ქვესადგურ „ახალ თელავში" (სიგრძე 3.2კმ) შეჭრის მშენებლობის პროექტი. 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის იყალთოს ქვესადგურ „ახალ თელავში" შეჭრის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის ძირითადი მიზანია ქვესადგურ „ახალი თელავში" თავმოყრილი სიმძლავრის ქსელში გამოტანა, ასევე, კახეთში არსებული 110 კვ-იანი ქსელის საიმედოობის გაზრდა. აღნიშნული პროექტის განხორციელება შეამცირებს ენერგომომარაგების შეწყვეტის რისკს და საშუალებას მისცემს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე.

პროექტის ზემოქმედების არეალში მოექცა შპს „ლაზა"-ს საკუთრებაში არსებული თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვარდისუბანში (ს/კ N53.08.39.533) მდებარე 20 000 კვ.მ სასოფლო- სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილი - 108 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ამასთან, სს

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" მიუთითებს, რომ უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, რაზედაც შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" მომართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურის დაწყებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე.

უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე" იმოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 18 დეკემბრის N1-1/455 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2025 წლის 18 დეკემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/455 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას"-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე", რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე"** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა შპს „ლაზა"-ს საკუთრებაში არსებულ, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვარდისუბანში (ს/კ N53.08.39.533) მდებარე 20 000 კვ.მ სასოფლო- სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 108 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე" უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

სულთათანა

# პროფესორი ალექსანდრე ციბაძე – სიკეთისა და სიყვარულის მთესველი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, მკვლევრები და სტუდენტები გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუსი, პროფესორი ალექსანდრე ციბაძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინისა და ადამიანის ეკოლოგიის აკადემიის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი.

ბატონი ალექსანდრე სამი ათეული წლის განმავლობაში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ეგებებოდა სამედიცინო უნივერსიტეტის პირველკურსელებს და ეხმარებოდა მათ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვის რთული, საინტერესო და ჰუმანური მისიის დაუფლების დაწყებაში; ეს კი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანაა, რადგან, ამ ეტაპზე გაგონილი თითოეული სიტყვა თუ დაჭერილი მზერა შესაძლოა, ახალგაზრდისთვის განმსაზღვრელი გახდეს პროფესიული კარიერის ლაბირინთებში ორიენტირებისათვის. ბატონი ალექსანდრე აქ ბრძანდებოდა კაცთმოყვარეობის და კომპეტენტურობის მაგალითი არამარტო სტუდენტების, არამედ კოლეგებისთვისაც.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – სამედიცინო უნივერსიტეტი) წარჩინებით დამთავრებისთანავე, 1961 წლიდან, ბატონმა ალექსანდრემ ცხოვრება და საქმიანობა ადამიანზე ზრუნვას მიუძღვნა. 1961 წელს იგი, სრულიად ახალგაზრდა, ლიკანში ფუნქციური დიაგნოსტიკის ლაბორატორიის ექიმად შეუდგა სისხლსავსე საექიმო და სამეცნიერო მოღვაწეობას; 1966-1989 წწ. იგი კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჯერ ექსპერიმენტული, მოგვიანებით კი – სამედიცინო კიბერნეტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ამასთან, ბატონი ალექსანდრე აკადემიურ საქმიანობაშიც ჩაერთო: 1985-1989 წწ. – თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, 1986 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული სამედიცინო აპარატურის კათედრაზე, სადაც მოღვაწეობდა სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიის და ბიოფიზიკის სფეროებში.

1989 წლიდან ალექსანდრე ციბაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კიბერნეტიკის და ინფორმატიკის კათედრის პროფესორი და კათედრის გამგეა. მოგვიანებით, ეტაპობრივი ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების შემდგომ, აღნიშნული კათედრა ფიზიკის, ბიოფიზიკის, ბიომექანიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტად ჩამოყალიბდა, რომელსაც 2017 წლამდე პროფესორი ალექსანდრე ციბაძე ხელმძღვანელობდა. 1996-2005 წლებში პროფესორი ა.ციბაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯს ხელმძღვანელობდა; განუზომელია მისი დამსახურება კოლეჯის და მისი ქუთაისის ფილიალის სასწავლო გეგმების და სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავებასა და განხორციელებაში.

ბატონი ალექსანდრე მისი **Alma Mater**-ის განვითარების ყველა, მათ შორის – რთულ, ეტაპებზე პროფესურის ავანგარდში იყო, აქტიურად მონაწილეობდა რა საორგანიზაციო, აკადემიურ, ადმინისტრაციულ, მეთოდურ და კვლევით აქტივობებში.

ალექსანდრე ციბაძის კვლევითი ინტერესები, ძირითადად, ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი პრობლემის გარშემო ტრიალებდა; მისი კვლევის შედეგები მოხსენებული და მოწონებული იყო არაერთ ეროვნულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე, ასახულია 150-ზე მეტ სამეცნიერო პუბლიკაციაში დარგის აღიარებულ სამეცნიერო პერიოდიკაში, რამდენიმე მონოგრაფიასა და სახელმძღვანელოებში. მის მიერ კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გასული საუკუნის 80-იან წლებში დანერგილი კვლევის ავტომატიზებული სისტემები იმ პერიოდში ინოვაციური და პროგრესული იყო არამარტო მედიცინაში, არამედ, საზოგადოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. 1980-იან წლებში ალექსანდრე ციბაძის აქტიური თანამშრომლობა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის კოლეგებთან არაერთი შედეგიანი სამეცნიერო პროექტის საწინდარი გახდა.

ჰუმანიზმი, კეთილმოსურნეობა, პროფესიონალიზმი, დელიკატურობა, მიმტევებლობა, ავკარგიანობა, თანადგომა, მეგობრობის გამორჩეული უნარი, მუდმივი მზაობა ახალგაზრდების მხარდაჭერისა და სწავლებისათვის – ეს ბატონი ალექსანდრე ციბაძის პიროვნულ ღირსებათა არასრული ჩამონათვალია. ამისთვის ყველა – დიდი თუ პატარა, სტუდენტი თუ კოლეგა, ახლობელი თუ მეგობარი – პატივს სცემდა და ენდობოდა მას.

ბატონ ალექსანდრეს დიდი და საამაყო ოჯახი ჰყავს; მან გულუხვად გაიღო ადამიანური და პროფესიული სიკეთე ოჯახის, მეგობრების, კოლეგებისა და მოსწავლეებისათვის.

გულისტკივილით გემშვიდობებით, ბატონო ალექსანდრე! თქვენ სამუდამო ადგილი პოვეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და, საზოგადოდ, საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების ისტორიაში.

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მეგობრები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ქართული მედიცინის ღვაწლმოსილი ექიმი, მეცნიერი, პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

## ალექსანდრე ციბაძე

პროფესორი ალექსანდრე ციბაძე იყო საზოგადოებასა და სამეგობროში გამორჩეული სიყვარულისა და სიკეთის მთესველი პიროვნება. დიდი მწუხარებით თანავუგრძნობთ მეუღლესა და შვილებს ჩვენი უახლოესი მეგობრის გარდაცვალებას.

**რამაზ ხეცურიანი, ნოდარ ემუხვარი, რომან მახარაძე, ბესარიონ კილასონია, გიორგი ავალიშვილი, შოთა ჯაფარიძე, ნოდარ ლომიძე, ანტონ კეკელიძე, ნუგზარ უბერი, ზურაბ ორჯონიკიძე, ზურაბ ვადაჭკორია, ცისანა ხომერიკი, ზაურ ფხალაძე.**

პანაშვიდი 6 თებერვალს, პლატონ იოსელიანის ქ. 37, მე-6 სადარბაზო, მე-2 სართული. გამოსვენება ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიიდან (ვაჟა ფშაველას გამზირი 33, სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორია). დაკრძალვა შაბათს, 7 თებერვალს 14:00 საათზე.

# უმძიმეს სასჯელსაც არ უფრთხიან!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისისა და ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და უკანონო რეალიზაციის ხელშეწყობის ბრალდებით 2 პირი: წარსულში ნასამართლევი 1970 წელს დაბადებული კ.ფ. და ბელორუსის მოქალაქე, 1992 წელს დაბადებული ს.რ. დააკავეს.**

შსს-ს ცნობით, სამართალდამცველების მიერ ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ და „გამომშრალი მარიხუანა“.

**„საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, ერთ-ერთი ბრალდებულის მიერ მითითებული რამდენიმე ადგილიდან, ასევე, ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“.**

**გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 260 კვარტა მუხლებით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“,** – წერია ინფორმაციაში.

# ვაგონსარემონტოში დიდი ოდენობით თანხები გაფლანგეს!



**საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტმა დიდი ოდენობით თანხების მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება სს „ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალის“ პასუხისმგებელ პირებს.**

საგამოძიებო უწყების ცნობით, საქმეს საფუძვლად თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურიდან შემოსული მასალები დაედო. აუდიტმა ქარხნის საქმიანობაში შესაძლო დანაშაულის ნიშნები გამოკვეთა, რის შემდეგაც მასალები პროკურატურას გადაეგზავნა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგო მითვისება-გაფლანგვას გულისხმობს. უწყების ინფორმაციით, 3 თებერვალს, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, რამდენიმე მისამართზე ჩატარდა ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები. ამ დროისთვის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება. პროკურატურას ჯერჯერობით არ დაუკონკრეტებია მითვისებული თანხის ზუსტი ოდენობა და არც ის, არიან თუ არა საქმეში ბრალდებული პირები.

# ქვემო ქართლში ყველის არალეგალური საწარმოები გამოვლინდა!

**სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის დეპარტამენტის ინსპექტორებმა რეგიონში ყველის ოთხი არალეგალური საწარმო გამოავლინეს.**

**„ინდმეწარმე გ.ბ. (მისამართი ქ. რუსთავი, მშენებელთა ქუჩის მ/ტ) ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციისა და სააგენტოს სავალდებულო აღიარების გარეშე საქმიანობდა. ამასთან, ობიექტზე აღინიშნა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა და კრიტიკული შეუსაბამობები. ასევე, სააგენტოს მიერ მინიჭებული სავალდებულო აღიარების გარეშე საქმიანობდნენ (ნედლის რძის თერმული გადამუშავება) შპს Cheese line (ს/კ 426520883, მის: გარდაბანი, სოფ. თელეთი), ინდმეწარმეები ა. ს. (მის: გარდაბანი, სოფ. თელეთი) და ზ. მ. (გარდაბანი, სოფ. თელეთი). ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ და შეუჩერდათ საწარმოო პროცესი“,** – ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაში.

სურსათის ეროვნული სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს ბიზნესოპერატორებს, დროულად მიმართონ სააგენტოს სავალდებულო აღიარების მოთხოვნით.

**„აღიარება არის რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება. ბიზნესოპერატორი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან (გარდა პირველადი წარმოებისა) ან/და გადამუშავებასთან, ვალდებულია, საქმიანობის დაწყებამდე განცხადებით მიმართოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, მას ენიჭება უვადო აღიარება. აღიარების გზამკვლევი, დაქვემდებარებული ეკონომიკური საქმიანობები და პროცედურა შეგიძლიათ იხილოთ სააგენტოს ვებგვერდზე,** – აღნიშნულია სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაში.

# თბილისში დაჭრის ფაქტი გახსნილია, დაკავებულია ერთი პირი

**თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 2003 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ფ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.**

დადგინდა, რომ ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით 1998 წელს დაბადებული დ.დ. დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ბრალდებული მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# ქართული ბალეტი დღეს ზენიტშია!



## „მაკნატუნამ“ მაყურებელი მოხიბლა!

**კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე ოპერისა და ბალეტის თეატრში ბალეტ „მაკნატუნას“ დაესწრო.**

უწყების ცნობით, სპექტაკლის განახლებული ქორეოგრაფიული რედაქცია **ნინო ანანიაშვილსა** და **ალექსეი ფადეეჩევს** ეკუთვნით. ახალ დადგმაში მოქმედება ქართულ გარემოში, თბილისში, დადიანების სახლში ვითარდება. მასში შეტანილია ახალი ელემენტები, მათ შორის, ქართული სამოსი.

**„სასიხარულოა, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრში მორიგი ანშლაგებით მიდის „მაკნატუნა“. ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელს – ნინო ანანიაშვილს, დასის თითოეულ წევრს ვულოცავ ამ დიდ წარმატებას.**

**ქართული კულტურისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ყველა დარგი ჰარმონიულად ვითარდებოდეს და ბალეტი ნამდვილად არის დარგი, რომელიც დღეს ზენიტშია.**

**საბალეტო დასი, საგასტროლო ტურნეებით, სისტემატურად გადის მსოფლიო სცენებზე. ეს დიდი აღიარებაა. დასს დიდ წარმატებებს ვუსურვებ, ჩვენს მაყურებელს კი – ბევრი ასეთი სპექტაკლის ნახვას“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

სპექტაკლზე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრს **ლევან ჯაგაევი** დირიჟორობდა.



## მომღერალ-მგალობელთა ანსამბლ „სათანაოს“ კონცერტი

**ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა მომღერალ-მგალობელთა ანსამბლ „სათანაოს“ კონცერტი სახელწოდებით – „სიმღერით გაცოცხლებული ისტორია“.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, კონცერტზე წარმოდგენილი მუსიკალური ნიმუშებით გაცოცხლებული იყო საქართველოს ისტორია ილია ჭავჭავაძის ეპოქიდან დღემდე.

საღამოზე შესრულდა ქართული ტრადიციული საგალობლები, ქართული ხალხური სიმღერები, ქალაქური ფოლკლორის ნიმუშები და საავტორო ნაწარმოებები. ღონისძიებას კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე მოადგილესთან, გიორგი მირცხულავასთან ერთად დაესწრო.

## ესპანეთში ექიმებმა პაციენტს ქალის სახე გადაუნერგეს, რომელმაც სიცოცხლე თვით-მკვლელობით დაასრულა

**ბარსელონის ვალ დ'ებრონის კლინიკამ სახის გადანერგვის უნიკალური ოპერაცია ჩაატარა. მსოფლიოში პირველად, დონორი გახდა ქალი, რომელმაც წინასწარ განაცხადა თანხმობა საკუთარი სახის გაღებაზე ასისტირებული ევთანაზიის პროცედურის წინ.**

კანის, კუნთების, სისხლძარღვებისა და ნერვების გადასანერგად დაახლოებით 100 სპეციალისტი მუშაობდა, მათ შორის ფსიქიატრები და იმუნოლოგები.

რეციპიენტი არის ქალი, სახელად კარმე (მისი სრული ვინაობა არ სახელდება). მას სახის ქსოვილების ნეკროზი განუვითარდა ბაქტერიული ინფექციის გამო, რომელიც კანარის კუნძულებზე მწერის ნაკბენის შედეგად დაეწყო. დაავადებამ ქალს ლაპარაკის, ჭამისა და მხედველობის უნარი დაუკარგა.

ეს ოპერაცია მედიცინის ისტორიაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია როგორც ტექნიკური სირთულის, ისე ეთიკური კუთხით, რადგან დონორმა გადაწყვეტილება სიცოცხლის ნებაყოფლობით დასრულებამდე მიიღო.



**ოპერაცია ჯერ კიდევ 2025 წლის შემოდგომაზე ჩატარდა. ორშაბათს, 2 თებერვალს, კარმე პრესკონფერენციაზე გამოჩნდა და აღნიშნა, რომ რეაბილიტაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. მოსალოდნელია, რომ აღდგენითი პერიოდის დასრულების შემდეგ, კარმეს არა მხოლოდ სასიცოცხლო ფუნქციები, არამედ სახის მიმიკაც დაუბრუნდეს.**

## FORBES: ილონ მასკის ქონებამ 800 მილიარდ დოლარს გადააჭარბა!

**კომპანია TESLA-ს და SPACEX-ის დამფუძნებელი ილონ მასკი ისტორიაში პირველი ადამიანია, რომლის ქონების საერთო ღირებულებამ 800 მილიარდ დოლარს გადააჭარბა,** – ინფორმაციას FORBES-ი ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, მასკის ქონება დღეის მდგომარეობით 852,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. მისი ქონება საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც კოსმოსური კომპანია SPACEX-ი და ხელოვნური ინტელექტის სფეროში მომუშავე სტარტაპი XAI გაერთიანდნენ. გაერთიანებული კომპანიის ღირებულება 1,25 ტრილიონ დოლარს შეადგენს.



**უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში მასკმა ქონების ღირებულების ოთხი რეკორდი მოხსნა. 2025 წლის ოქტომბერში მასკი გახდა მსოფლიოში პირველი ადამიანი, რომლის ქონებამ 500 მილიარდი დოლარი შეადგინა. დეკემბერში კომპანია SPACEX-ის ღირებულების ზრდის წყალობით მისმა ქონებამ 600 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში მასკის ქონებამ 700 მილიარდ დოლარს მიაღწია, დღეს კი უკვე 800 მილიარდია!**



## LGBT-პროპაგანდა სპორტის გამოყენებით.

## გერმანიაში მამაკაცმა მსაჯმა მეორე მამაკაცს ხელი სთხოვა!..

**გერმანიაში, მამაკაცმა მსაჯმა ფეხბურთის მატჩის დაწყების წინ შეყვარებულ ბიჭს ხელი სთხოვა. ეს 30 იანვარს მოხდა – თარიღი, რომელიც „მრავალფეროვნების დღედ“ იყო გამოცხადებული.**

ფეხბურთელები მოედანზე ფორმაზე დატანილი ცისარტყელას დროშებით გავიდნენ. სტადიონიც

## სტადიონიდან პირდაპირ ბორდელში!

იმავე ფერებში იყო განათებული.

პასკალ კაიზერმა მოგვიანებით აღიარა, რომ ერთდროულად „შიშს, სიამაყეს და ბედნიერებას“ გრძნობდა. მომდევნო დღეებში მსაჯმა ინტერნეტში დიდი მხარდაჭერა მიიღო, თუმცა გარკვეული სიძულვილის გამომხატველი კომენტარებიც შეიმჩნეოდა. კაიზერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჯაროობა მისთვის მნიშვნელოვანი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისმა ბოიფრენდმა ერთხელ აღიარა, რომ სურდა ხელის თხოვნის ცერემონია გრანდიოზულად ჩატარებულიყო.

გერმანელმა ფეხბურთის მსაჯმა სტადიონზე 50 000 გულშემატკივრის წინაშე თავის შეყვარებულ ბიჭს ხელი სთხოვა. 27 წლის პასკალ კაიზერი ფეხბურთის მსაჯია, რომელიც რეგიონული ლიგის მატჩებში მსაჯის ფუნქციებს ასრულებს. 30 იანვარს, კიოლნისა და ვოლფსბურგის მატჩის წინ, სტადიონზე მუხლი მოიყარა და საჯაროდ სთხოვა თავის ბიჭს ხელი, რა დროსაც ცრემლებს ძლივს იკავებდა. გერმანული მედია კაიზერს „გერმანულ ფეხბურთში რამდენიმედან ერთ-ერთ ღიად გეი ადამიანად“ მოიხსენიებს.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგდებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 9 თებერვალს